ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 4 თებერვალი | 1997 №12 (377) | ფასი 40 თეთრი


# საქართველოს ნაკრებს საფრანგეთში წასვლა შეუძლია

## ამბობს რეზო ძოძუაშვილი



ეროვნული გუნდის მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი რევაზ ძოძუაშვილი ორი დღის წინ ჩამოვიდა თბილისში და დღეს პირველ საათზე ახალკაცს უნდა შეხვდეს. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რაზე ისაუბრებენ ახალკაცი და ძოძუაშვილი. ისინი მოსკოვშიც შეხვდნენ ერთმანეთს. პრეზიდენტმა „მიხიჩასგან" წინასწარი თანხმობა მიიღო.

— ნოდარ ახალკაცს მოსკოვში, სასტუმრო „კოსმოსში" შევხვდი. გულახდილად ვისაუბრეთ. მითხრა, შენს გარდა კიდევ არიან კანდიდატები. საბოლოოდ ალმასკომის წევრები ამათგან ერთ-ერთს შეარჩევენ და შენ თუ ხარ თანახმა მწვრთნელობაზეო. ისიც მკითხა, „სკონტოს" ხელმძღვანელთაგან რაიმე დაბრკოლებები ხომ არ შეგექმნებაო. არამცთუ, ვუთხარი და მართლაც ასეა. რიგელებს, სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან არ ესიამოვნათ ეს ამბავი, მაგრამ, ეროვნული ნაკრების მწვრთნელად თუ იმუშავებ, ეს ჩვენთვის დიდი პატივი იქნებაო, მითხრა „სკონტოს" პრეზიდენტმა. ასე რომ, მე ყაბულს ვარ. ჯერი ფეხბურთის ფედერაციაზეა.

**— დავუშვათ და დაინიშნეთ. ცხადია, თქვენი პროგრამა, თქვენი წინადადებები გექნებათ...**

— უპირველეს ყოვლისა, მოვითხოვ მეორე, ასე ვთქვათ, საბაზო გუნდის შექმნას, რომელიც საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებით დაკომპლექტდება და კლუბების ნაკრების სტატუსი ექნება. ასე უფრო გამიადვილდება მუშაობა. კონკურენციაც გამძაფრდება და მოთამაშენიც კეთილს ინებებენ, რათა მუდამ მობილიზებულნი იყვნენ. აბა, წარმოიდგინეთ, ლეგიონერი ნაკრების შეკრებაზე რომ ჩამოვა და აქ მეორე ნაკრები დახვდება. ითამაშებს, აბა, რას იზამს. თუ არა, მის ადგილს გარკვეული დროით სხვა დაიკავებს. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე ფეხბურთელთა მიმართ უკომპრომისო ვიქნები. ვინც ღირსი იქნება, ის ითამაშებს, ვინც არა — ნაკრებს ვერ გაეკარება.

ჩემი მეორე წინადადება ასეთი იქნება — ნაკრების რომელიმე მწვრთნელს აუცილებლად უნდა მიეცეს იმის საშუალება, რომ უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელების მზადყოფნა ადგილზე შეაფასოს: ჩავიდეს ტრაბზონში, მანჩესტერში, ათენში, ვლადიკავკაზში და ტრიბუნიდან დააკვირდეს მოთამაშეს და არა ტელევიზორის ეკრანზე. ვიმეორებ, ასეთი მივლინებები აუცილებელია და არა ერთი და ორი დღით. ამგვარი ვოიაჟების ხანგრძლივობა, სულ ცოტა, ხუთი-ექვსი დღე უნდა იყოს, რათა მწვრთნელმა ნაკრების კანდიდატი რამდენჯერმე იხილოს საქმეში, ფეხბურთელის მომზადების თაობაზე კლუბის მწვრთნელსაც გაესაუბროს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდეს, ღირს თუ არა მისი ნაკრებში გამოძახება. ამას გარდა, მეტად მნიშვნელოვანია რაც შეიძლება ინტენსიური კონტაქტი საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებთან, კლუბის მწვრთნელებთან სჯა-ბაასი. ხომ შეიძლება, ფეხბურთელმა ერთი მატჩი ბრწყინვალედ ჩაატაროს ნაკრების მწვრთნელის მოსაჩვენებლად, მერე და მერე კი უკლოს თამაშს. ამგვარი რამ გუნდის მწვრთნელს არ გამოეპარება და ნაკრების თავკაცს სწორ რჩევას მისცემს. საჭიროა აგრეთვე ამხანაგური მატჩების ხშირად ჩატარება. მოვიწვიოთ, ბატონო, მეზობელი სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, პრობლემა არ იქნება ლატვიის ნაკრების სტუმრობა. ავდგეთ და ვეთამაშოთ. კარგი, ნუ მოვიწვევთ ლეგიონერებს და ზემოთ თქმულ კლუბების ნაკრების წევრებს მივცეთ იმის საშუალება, რომ თავიანთი ოსტატობა დაამტკიცონ. მერწმუნეთ, ეს ძალზე სასარგებლო იქნება.

ახლა ცოტა ფინანსებზეც ვთქვათ. ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ ნაკრების რომელიმე მწვრთნელის უცხოეთში მისავლენი თანხის გამოძებნა პრობლემაა. ჩემი აზრით, სულაც არ არის ათასი დოლარი ზოგ-ზოგისთვის დიდი ფული. არიან ისეთები, ორ ამდენს რესტორნებში და ღამის ბარებში რომ ხარჯავენ. ხომ შეიძლება, ერთხელ მოიკლონ ეს სიამოვნება და ნაკრების მწვრთნელი დააფინანსონ? გაღებული თანხა ათმაგად დაუბრუნდებათ მეტი სიამოვნების სახით — სჯობს რაიმე შენი ქვეყნის ნაკრების წარმატების ხილვას?

**— მართალს კი ამბობთ, მაგრამ ცოტა ზოგადი საუბარი გამოგვდის. თუ შეიძლება, უფრო კონკრეტულად.**

— მეტს ველარ დავაკონკრეტებ. გავიმეორებ და ვიტყვი, რომ დღეს საქართველოში ნამდვილად არის ნაკრების შენახვის საშუალება. ამისთვის საჭიროა ხელისუფლების ორგანოების, ფეხბურთის ფედერაციის, ჟურნალისტების და, რაღა თქმა უნდა, ხალხის ერთად ყოფნა. მე ახალკაცისგან ერთს მოვითხოვ — მომეცეს მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრის საშუალება და ნაკლებად მქონდეს ოჯახური პრობლემები. მეც მყავს ოჯახი; ცოლი, შვილი, შვილიშვილი. მათ ხომ რჩენა უნდათ და ძალიან არ მინდა, ორ უკიდურესობაში ჩავვარდე. მე ფეხბურთით დაავადებული ადამიანი ვარ და თუნდაც მინიმალურ ანაზღაურებაზეც თანახმა ვიქნები. თუ ყოველივე, რაც ზემოთ ვთქვი, შესრულდება, თუნდაც ნაწილობრივ, მაშინ მე, რევაზ ძოძუაშვილი ხმამაღლა განვაცხადებ — საქართველოს ნაკრები ორ წელიწადში ნამდვილ ფურორს მოახდენს მსოფლიოს მასშტაბით!

**— ასეთი განცხადების საფუძველს რა გაძლევთ?**

— ქართველთა ნიჭი. ღრმად ვარ დარწმუნებული ქართველი ფეხბურთელების უდიდეს პოტენციაში.

**— ...კი მაგრამ, უკანასკნელ ხანს ნაკრების რეგრესი აშკარაა.**

— ეს იმიტომ, რომ, როცა ბულგარეთის უძლიერეს ნაკრებს ვძლიეთ, ზოგიერთ ფეხბურთელს ვარსკვლავის ავადმყოფობა შეეყარა. არიქა, მსოფლიოს მეოთხე გუნდი დავამარცხეთ და ვინღა გაგვიმკლავდებაო. კაცმა რომ თქვას, ასეც უნდა ყოფილიყო — ბულგარელების მოგების მოლდოვასთან აღარ უნდა წაგვეგო, თუნდაც რუმინელებთან, ბერძნებთან, ნორვეგიელებთან... ამ წაგებებს შესაბამისი გამოხმაურება მოჰყვა, ზოგი ვის აბრალებდა, ზოგი ვის. მე ყველაფერზე ჩემი აზრი მაქვს. ფეხბურთი გუნდური თამაშია და ერთი კაცი, თუნდაც მწვრთნელი, თამაშს ვერ წააგებს, ისევე, როგორც ფეხბურთელი. თუ იგებს, გუნდი იგებს და წაგებაც ასევეა. ამისი ახსნა იოლია — ისევ და ისევ ვარსკვლავის სენით არ უნდა იყოს ფეხბურთელი შეპყრობილი. თუ ასე მოხდა, მისი „გამოჯანმრთელება" ძნელი საქმეა. ამის საწინააღმდეგოდ ხანდახან „ახალი სისხლიც" საჭიროა. დღემდე გაუგებარია ჩემთვის, რატომ იყვნენ ნაკრებს მიღმა აშვეთია და ჯანაშია. ხომ შეიძლებოდა მათი გამოცდა?

**— ზოგის აზრით, ნაკრების მწვრთნელად თქვენი დანიშვნის შემთხვევაში შელია ნაკრებში ვეღარ ითამაშებს...**

— ეს არც გამიფიქრებია. თუკი მწვრთნელად დამნიშნავენ, შელია აუცილებლად ითამაშებს ნაკრებში. მე მისი დიდი იმედი მაქვს. მართალია, ადრე ჩვენს შორის მცირე კონფლიქტი მოხდა, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დარწმუნებული ვარ, ჩემი კეთილი განწყობა თავად მურთაზმაც იცის და მჯერა, მისი მხრიდანაც ასეა. სხვათა შორის, ტრაბახში არ ჩამომართვათ და, სწორედ იმ კონფლიქტის შედეგია, დღეს მურთაზ შელია რომ ასეთი ფეხბურთელია. აბა, წარმოიდგინეთ, შელიას სადღაც, შვეციის რომელიღაც ნაკლებად ცნობილ კლუბში რომ ეთამაშა. ამის გამო მოხდა ჩვენს შორის გაუგებრობა.

**— როგორ ფიქრობთ, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი თუ გვაქვს?**

— როგორ არა! მთავარია, რაც ზემოთ ვთქვი, გაკეთდეს. მე კი, ჩემი მხრიდან ვპირდები გულშემატკივრებს, რომ ეროვნული ნაკრები ფურორს მოახდენს და ამისი დასაწყისი ინგლისთან მატჩი იქნება. თუ, რაღა თქმა უნდა, მე ვიქნები ნაკრების მწვრთნელი.

**— ჯგუფში ჩვენი მეტოქეების თამაშს თუ ადევნებდით თვალს?**

— თითოეული გუნდის სათამაშო სისტემა შესწავლილი მაქვს. ვიცი, როგორ ფეხბურთს თამაშობენ ისინი და აქედან გამომდინარე, მეც მაქვს მოფიქრებული ჩემეული სტრატეგია. ეს ლიტონი სიტყვები როდია, ყველაფერს ალალად ვამბობ.

**— არც 30 აპრილს „უემბლიზე" თამაშის გეშინიათ?**

— შიშის გრძნობა დიდი ხანია დავკარგე. ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას მომეხსნა ამგვარი კომპლექსი, შემდეგ კლუბებში მუშაობამ გამომიმუშავა შიშის მიმართ იმუნიტეტი და „უემბლიზე" რატომ უნდა დავხარო თავი? თუ შემეშინდა, რაღა აზრი აქვს ჩემს მწვრთნელად მუშაობას...

**კობა ინასარიძე**

# ნოდია უარზეა...

თებერვალში საქართველოს ეროვნულ გუნდს ნამდვილად ეყოლება ახალი მთავარი მწვრთნელი, რომელსაც ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი დაამტკიცებს. ახლა ესღა დარჩა გასარკვევი, როდის გაიმართება ალმასკომის სხდომა და ვინ იქნება ის კაცი, ვინც ამ მძიმე ტვირთს წამოიკიდებს. ჩვენს მიერ დაფიქსირებული ხუთი კანდიდატი — ძოძუაშვილი, ყიფიანი, ხურცილავა, ჭეიშვილი და ნოდია მართლაც ყოფილან ფედერაციის რჩეულნი. დღეს უკვე საბოლოოდ გაირკვა, რომ ახალკაცი ხუთივე კანდიდატს ცალ-ცალკე შეხვდა და მწვრთნელობა შესთავაზა. იმასაც დავძენთ, რომ ფედერაციის პრეზიდენტთან შეხვედრა და ნაკრების გაძღოლის თაობაზე საუბარი ოთხმა მათგანმა დაადასტურა, მხოლოდ ჭეიშვილმა უარყო ყოველივე. მისი თქმით, პრეზიდენტს კი შევხვდი, მაგრამ ნაკრების მწვრთნელობაზე არაფერი თქმულაო. ნათელია, რომ კანდიდატი ნაღდად ხუთი იყო. იყოო, იმიტომ ვამბობთ, რომ ამ ხუთიდან ერთი გამოირიცხა:

მწვრთნელობის კანდიდატი ვერ იქნება გივი ნოდია, რომელიც 31 იანვარს მოსკოვში ჩავიდა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს შეხვდა. ესენგეს თასის ნახევარფინალური მატჩისას ახალკაცი და ნოდია გვერდიგვერდ მსხდარან და საკმაო ხანსაც უსაუბრიათ. შესვენებაზე ჩვენი კორესპონდენტი მამუკა კვარაცხელია გივი ნოდიას შეხვდა...

— მოსკოვში ჩემს საქმეებზე ჩამოვედი. თანაც ნოდარ ახალკაცმა დამირეკა. ვილაპარაკეთ ეროვნული გუნდის მწვრთნელობაზე. ახალკაცმა კი შემომთავაზა, მაგრამ ისიც მითხრა, შენს გარდა კიდევ ოთხი კანდიდატია და ყველაფერს კენჭისყრა გადაწყვეტსო.

**— როგორი იყო თქვენი პასუხი?**

— სანქტ-პეტერბურგის „ლოკომოტივთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. იქაური კლუბის ხელმძღვანელობა მენდო და ბოლომდე უნდა ვიმუშავო. თანაც ნაკრების მწვრთნელობა უდიდესი პასუხისმგებლობაა. ახლა ჩემი დაბრუნება გამორიცხულია. ფაქტობრივად, 2 წელია ჩვენი ნაკრების თამაში არ მინახავს, ჩვენს ფეხბურთს ერთგვარად მოვწყდი. მოკლედ, ახალკაცს უარი ვუთხარი.

# ...ყიფიანიც

ნოდიამ უარი განაცხადა. ფედერაციას ოთხი კანდიდატი დარჩა — ყიფიანი, ძოძუაშვილი, ხურცილავა და ჭეიშვილი. თუ დანიშნავენ, ძოძუაშვილი თანახმაა, უარზე არც ხურცილავაა. ის კი არა, „ოდიშის" თავკაცი გუშინ იყო დაბარებული ფეხბურთის ფედერაციაში, მაგრამ ზუგდიდში წასულს დიდთოვლობამ მოუსწრო და თბილისში ვერ ჩამოვიდა. ვეცადეთ, ტელეფონით დავკავშირებოდით, მაგრამ ვერც ეს მოხერხდა. ჭეიშვილი ბათუმს გამგზავრებულა, გუნდს მეორე წრისთვის ამზადებს, ოღონდ ჩვენ სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. დავით ყიფიანმა საჯაროდ და არაერთხელ კი გამოხატა თავისი პოზიცია, მაგრამ ფედერაცია მაინც ერთ-ერთ კანდიდატად თვლის. ჩვენც კვლავ შევეხმიანეთ „დინამოს" თავკაცს...

— მე უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი. ალალად ვთქვი, რასაც ვფიქრობდი. ამჟამად კლუბში ვმუშაობ და აურაცხელი საქმე მაქვს. ვერც ის გამიგია, რა არის ასარჩევი. ფედერაციამ თავად უნდა იკისროს პასუხისმგებლობა და მწვრთნელი დანიშნოს. არ მესმის, რა საჭიროა კენჭისყრა და ყუთობანა. დავუშვათ, მივედით ოთხივენი, მოეწყო კენჭისყრა და ამირჩიეს მე. მაშინ ხომ დანარჩენებს გული დასწყდებათ. რატომ უნდა ვატკინოთ გული? მათ ხომ დიდი წვლილი მიუძღვით ქართული ფეხბურთის განვითარებაში, ისინი ჩვენს ფეხბურთში დიდი პიროვნებები არიან. ამიტომ, ვიმეორებ, ფედერაციამ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა და პირდაპირ დანიშნოს მწვრთნელი. რაც შემეხება მე, „დინამოში" იმდენი მაქ;ს სამუშაო...

# გიოს ადგილი მოუნახეს

### ოქსფორდი 1:4 სიტი




სტუმრად გამართული 13 მატჩიდან „სიტიმ" მეორე მოიგო. აშკარაა, მანჩესტერელებს კლარკის ხელი დაეტყოთ. რაც იგი კლუბშია, გიოს გუნდი არ აგებს. ხუთშაბათს ალბიონზე მოთამაშე ქართველს მამამ, დამ და თბილისის „დინამოს" მწვრთნელ-სელექციონერმა ბესო კირვალიძემ ჩააკითხეს, რამაც გიორგი ძალიან გაახარა, სიხარულმა კი ჩვენებურს სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარებინა. ჩემების ჩამოსვლის აღსანიშნად უნდა მოვიგოთო — უთქვამს გიოს ჟურნალისტებისთვის და მართლაც, მასპინძელთა დაცვას ბდღვირი ადინა. 28-ე წუთზე გიომ კუთხური ისე ჩააწოდა, მასპინძელთა მცველებს თავგზა აებნათ და გილრისტმა საკუთარ კარში შეაგდო. ხუთ წუთში თავად გიორგიმ გაიხარა: როსლერისგან ბურთი მიიღო, ორ მცველს გასცდა და დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან გაიტანა. ტაიმის მიწურულს გიოს გადაცემის შემდეგ როსლერმა ბურთი ძელს გაარტყა. მეორე ნახევრის დასაწყისში ისევ ქინქლაძის პასის შემდეგ ისევ როსლერმა ისევ „მოიკითხა" ძელი, ასხლეტილს სამერბიმ დაამატა, მაგრამ ძელს ვერც ამან ააცილა. 65-ე წუთზე გიომ სამი მცველი მოატყუა და დაახლოებით 14-15 მეტრიდან თავისი მეორე გოლი შეაგდო. მერე მასპინძლებმა „სიტი" კონტრშეტევაზე დაიჭირეს და გაუტანეს. მატჩი თითქოს ასეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ „სიტის" ბოლო შეტევას კუთხური მოჰყვა. იგი, რა თქმა უნდა, ქინქლაძემ ჩააწოდა, ლომასმა იყოჩაღა და როსლერს დაუგორა, გერმანელმა კი, როგორც იქნა, გაიტანა. „ოქსფორდი" წელს ყველაზე მწარედ დამარცხდა, „სიტიმ" კი პირიქით, პირველად მოიგო დიდი ანგარიშით. მატჩის შემდეგ „სიტის" მწვრთნელმა ფრენკ კლარკმა განაცხადა: დღეს ქინქლაძე შეუდარებელი იყო. როცა იგი ასე თამაშობს, მსოფლიო დონის ფეხბურთელია. მისი ნახევარდამცველიდან თავდასხმაში გადაყვანამ აშკარად გაამართლა. მომავალში ამას გავითვალისწინებ.

**დავით მჭედლიშვილი**
**ლონდონიდან**

## ჯანაშიას და იონანიძეს სადირინი გასინჯავს

ჩვენი ეროვნული გუნდის წევრი ნუგზარ ლობჟანიძე რომ მოსკოვის ცესკაში ისინჯება, უკვე გაუწყეთ. სკილეტა 2 თებერვალს გუნდს კვიპროსულ შეკრებაზე გაჰყვა. ცესკა კვიპროსში სამ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. სპარინგ-პარტნიორებიდან ორი ცნობილია — პოლონური „ლეგია“ და რუსული „კამაზი“. მესამე, სავარაუდოდ, ადგილობრივი კლუბი იქნება. ამ თამაშებში სკილეტას საქმეში ნახავენ და მისი ბედიც საბოლოოდ მაშინ გადაწყდება. ეს ყოველივე ჩვენს კორესპონდენტს მამუკა კვარაცხელიას არმიული კლუბის პრეს-ატაშემ ვიქტორ კოზირინსკიმ აცნობა. მასვე ისიც უთქვამს, სადირინს კიდევ ორი ქართველის, დავით ჯანაშიას და ზურაბ იონანიძის გასინჯვაც სურსო. შეგახსენებთ, რომ ეს ორივე ჩვენებური მოსკოვის „ტორპედოს“ ახლადანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა ტარხანოვმა დაიწუნა. სადირინის თქმით, იგი კარგად იცნობს დათოს და ზურაბის შესაძლებლობებს, აკვირდებოდა მათ თამაშს და მოსწონდა კიდეც ისინი. სადირინს ახლავე უნდოდა მათი კვიპროსში წაყვანა, მაგრამ საელჩოში შესაბამისი საბუთების გაფორმება ერთ დღეში ვერ მოუსწრიათ და ამიტომ ჯანაშია და იონანიძე მოსკოვში დარჩნენ. სადირინი მათ კვიპროსიდან დაბრუნების შემდეგ გამოცდის.

## დევაძე და გუჯაბიძე კვლავაც ისრაელში

რუსეთის „როსტსელმაშის“ კუთვნილებაში მყოფმა ქართველმა მოთამაშეებმა — გოჩა გუჯაბიძემ და აკაკი დევაძემ ახალი გუნდის ძიებაში კვლავ აღთქმულ მიწას მიაშურეს. თუმცა, მოილაპარაკებენ თუ არა დაინტერესებულ გუნდებთან, ფინანსური საკითხების გარკვევაზეა დამოკიდებული. როსტოველები ქართველებში შესაბამისად 40 000 და 150 000 დოლარს ითხოვენ. თუმცა, აკაკი დევაძის თქმით, მოლაპარაკების შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია „როსტსელმაშის“ თავკაცებმა ნაკლები საფასური მოითხოვონ.

## „ტრაბზონსპორს“ მწვრთნელი გაუგდეს

1 თებერვალს „ბეშიქთაშთან“ მწარე, 0:3 მარცხმა განარისხა „ტრაბზონსპორის“ ახალი პრეზიდენტი მეჰმედ ალი იალმაზი. პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ გუნდიდან გაუშვა მთავარი მწვრთნელი შენოლ გიუნეში. სხვათა შორის, ეს შენოლი „ტრაბზონის“ მწვრთნელად მაშინ დაინიშნა, რაც მოთამაშეებმა, ვეტერან უნალისა (შენოლის ძმაკაცია და „ტრაბზონში“ მასთან ერთად უთამაშია) და ორჰანის თავკაცობით, ბუნტი მოუწყვეს ყორუ ლიკენსს, რომელმაც უსახელო „მუსკრონი“ ბელგიის წლევანდელ ჩემპიონატში ისე დააწინაურა, რომ ახლახან ბელგიის ნაკრების მწვრთნელადაც დანიშნეს. შენოლი ამ ჯანყის ფარული ხელშემწყობი იყო, თუმცა მის ხელში „ტრაბზონმა“ ვერა და ვერ შეძლო ჩემპიონობის მოპოვება. იალმაზს მისი შეცვლა, ისევე, როგორც გუნდის განახლება, მისვლის დღიდან ჰქონდა ჩაფიქრებული და მოლაპარაკებებს აწარმოებდა იოჰან კრუიფთან და ზეპ პიონტეკთან.

არადა, წაგებულ შეხვედრაში უპირატესობა ჯერ სტუმარი ტრაბზონელებისა იყო. კარგად უთამაშია დაცვიდან ნახევარდაცვაში წაწეულ ნემსაძეს, არც ჯამარაულს და შოთა არველაძეს დაუზოგავს თავი და საგოლე მომენტებიც საკმაოდ შეუქმნიათ. მარტო შოთას სამჯერ შეეძლო გატანა, ერთხელაც ნემსაძეს, მაგრამ ვერ იხეირეს. მეორე ტაიმში ჯამარაული შეცვალეს, დაცვაში საქმეები აერიათ და საბოლოოდ „ტრაბზონი“ სამარცხვინოდ დამარცხდა.

ამჟამად, ახალი მწვრთნელის დანიშვნამდე, „ტრაბზონს“ შენოლის თანაშემწე თურგაი სემერჯილერ გაწვრთნის.

## ალექსიძემ „ჩელსის“ მოაგებინა

შაბათს, „ჩელსისა“ და „ჩარლტონ ატლეტიკის“ დუბლშემადგენლობათა მატჩში რატი ალექსიძემ ორი გოლი გაიტანა მას შემდეგ, რაც მისი გუნდი 0:1-ს აგებდა. დუბლების ჩემპიონატის წინა ორ მატჩში რატიმ თითო გოლიც შეაგდო. ვერ გეტყვით, ასეთივე შედეგიანობით გამოირჩევა თუ არა ალექსიძე ახალგაზრდული ჩემპიონატის მატჩებშიც, რომელიც შუა კვირაში იმართება, მაგრამ ის კია — ალექსიძე კვირაში ორ მატჩს თამაშობს, რაც ამ ახალგაზრდა ფორვარდს ერთობ წაადგება.

## ხაჭაპურიძე იმედოვნებს

ზესტაფონის „მარგვეთის“ პრეზიდენტმა ვასილ ხაჭაპურიძემ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ უახლოესი დღეებისთვის ელოდება ფინანსური სახსარის გამოჩენას და გუნდიდან არავის გაშვებასაც არ აპირებს, გარდა... გარდა იმ სამი ფეხბურთელისა, რომლებმაც თავს დროულად უშველეს და უცხოეთს მიაშურეს. ესენი არიან საბერძნეთის მეორე ლიგის ერთ-ერთ გუნდში წასვლამდევე მოწყობილი გენადი ლანჩავა და მამუკა უკლება, ასევე მაკედონიის „ვარდარში“ გასინჯვაზე მყოფი და ლამის უკვე ამ კლუბშივე ჩარიცხული მალხაზ ქვანია. ხაჭაპურიძეს სატრანსფერო ფურცელი უბოძებია თავდამსხმელ ჯაბა წიკლაურისთვისაც, რომელიც რუსეთში აპირებს ძალის მოსინჯვას.

ვასილ ხაჭაპურიძე ძლიერ გაუნაწყენებია ქუთაისური კლუბისა და მასში გადახვეწილი ფეხბურთელების თავხედობას. მეტადრე კი იმას აღუშფოთებია, რომ „ტორპედოს“ ხელმძღვანელობას ტრანსფერის მოსაგვარებლად „მარგვეთის“ პრეზიდენტისთვის კი არ მიუმართავს, არამედ ამ გუნდის თავისთვის სასურველი მოთამაშენი შეუგულიანებია — ფედერაციას თქვენი სიმართლის დამტკიცება თხოვეთ და თუ რამე გამოგივიდათ, ჩვენც აქვე ვართო.

თუ გავიხსენებთ, რომ შარშან ასეთი მოქცევით ვერაფერი იხეირეს ეროვნული ნაკრების წევრ-კანდიდატებმა, რომლებიც „სამტრედიის“ პრეზიდენტს ტარიელ ჩაჩუას უჩიოდნენ — კონტრაქტით შეპირებულ პირობებს არ გვისრულებსო. წელსაც უკეთესს არაფერს უნდა ველოდეთ. თუმცა რა, თუ „მარგვეთმა“ თავის მოთამაშეებისთვის ნორმალური პირობების შექმნა ვერ უზრუნველჰყო, საუკეთესო ვარიანტში თავის ფეხბურთელებს ვერც თავად გამოიყენებს და არც სხვას ახეირებს.

## „კოლხეთი“ ბულგარეთში

2 თებერვალს ფოთის პორტიდან ბულგარეთის ქალაქ ბურგასში ბორანით გაემგზავრნენ „კოლხეთის“ ხელმძღვანელები და მოთამაშეები. იქ გუნდი ორკვირიან შეკრებას გაივლის და რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს. შეკრებაზე „კოლხეთს“ „ბათუმის“ დათო მახარაძე, „სამტრედიის“ ელდარ გვასალია და ტოლიატის „ლადადან“ საქართველოში დაბრუნებული ბესიკ ამაშუკელი დაემატნენ. თუმცა, ფოთელები ბახვა ამბიძეს მოიკლისებენ, რომელიც ტრანსფერზეა წარდგენილი და ამჟამად „მერანში“ ვარჯიშობს.

## ალადაშვილი დაბრუნდა

როგორც ჩანს, უილბლო გამოდგა რუსთაველთა ახალგაზრდა კაპიტნის კახა ალადაშვილის ოდისეა ელადაში. რუთავის „გორდას“ ყოფილი მთავარი მწვრთნელის იასონ ალადაშვილის ვაჟი საბერძნეთის პირველი ლიგის „ვეროიაში“ მოწყობას ლამობდა. ამ ბერძნულ კლუბში დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ყოფილი შედეგიანი ფორვარდი ოლეგ პროტასოვი თამაშობს და ეტყობა ბერძნებს ახალგაზრდა ქართველის დახმარება აღარ დასჭირდა.

ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია ნამდვილი მიზეზი, რის გამოც ალადაშვილს სამშობლოში დაბრუნება მოუხდა და არც ის ვიცით, სად ითამაშებს იგი მეორე წრიდან და დაუბრუნდება თუ არა ისევ თავის მშობლიურ კლუბს.

# თემურ მახარაძე: თამაში თამაშამდე არ უნდა წააგო



პირველი წრე დასრულდა თუ არა, „მერანში“ საგანგაშო ვითარება შეიქმნა — გუნდს, რომელმაც ჩემპიონატს ინტრიგა შესძინა და დებიუტანტისთვის უჩვეულო მეხუთე ადგილით დაასრულა პირველი წრე, დასუსტების საფრთხე დაემუქრა: წამყვანმა მოთამაშეებმა პერტიამ, არჩვაძემ, კაკუბავამ, ქორიძემ, ჭოლოკავამ და დოლიძემ უცხოეთში წასვლა დააპირეს. თუმცა, მეორე წრისთვის მზადებისას გუნდს მხოლოდ პერტია, არჩვაძე და კაკუბავა გამოაკლდნენ. ჭოლოკავა საბერძნეთიდან დაბრუნდა — II ლიგაში თამაში არ ისურვა, დოლიძემ კი ლატვიას „მერანი“ არჩია. გუნდის მთავარ მწვრთნელთან თემურ მახარაძესთან საუბარი „მერანის“ სატკივარით დავიწყეთ, თუმცა, თავად მწვრთნელის ნაუბარმა კონკრეტული თემის გარდა ბევრი სხვა საკითხიც მოიცვა.

— ქორიძე ჩვენთან კი ვარჯიშობს, მაგრამ „მრეტების“ პრეზიდენტის ჩხაიძის ზარს ელოდება გერმანიიდან. ჭოლოკავა და დოლიძე კი ჩვენთან რჩებიან. იცით, რომ პერტიამ ლატვიის „ვესფელთან“ გააფორმა კონტრაქტი. არჩვაძე და კაკუბავა შესაბამისად საბერძნეთსა და რუსეთში ისინჯებიან.

**— ხომ შეიძლება, რომ, ჭოლოკავასი არ იყოს, არჩვაძე და კაკუბავაც დაბრუნდნენ? როგორც თქვენ ბრძანეთ, ისინი ჯერ მხოლოდ ისინჯებიან...**

— ვფიქრობ, ეს არ არის გამორიცხული.

**— პრობლემები თუ გაქვთ რომელიმე პოზიციაზე?**

— კატასტროფული მდგომარეობა არცერთ რგოლში არ გვაქვს. ყველა რგოლი თანაბრადაა დაკომპლექტებული. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი სასურველადაა. მოთამაშის დაოსტატების ზღვარი არ არსებობს და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ყველა პოზიციაზე უკეთეს შემსრულებს ვეძებთ. რაც მთავარია, გუნდში დიდი კონკურენციაა. ეს კი წინსვლის გარანტიაა. ამჟამად ჩვენთან 35-მდე კაცი ვარჯიშობს. მათ შორის არიან „გურიას“ გოდერძიშვილი, „მორკინალის“ აბაზაძე, „სამტრედიის“ პავლიაშვილი, ზაზა ბაკურაძე, რომელსაც ერთი წელი ფეხბურთი საერთოდ არ უთამაშია, გივი ქველაძე — იგი ნახევარი სეზონია, არ გასულა მინდორზე, ამბიძე, ჩინეთიდან დაბრუნებული გოგიტაძე და მალანია, აგრეთვე „მერანის“ ბავშვთა სკოლის აღსაზრდელები. დაგვაკლდა სამი ძირითადი მოთამაშე, რომელთა ნაცვლად ახლებს გავსინჯავთ, მათ შეთამაშებას კი გარკვეული დრო სჭირდება.

**— „მერანში“ თქვენ ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მოხვდით. ახლა კი დრო საკმაოდ გაქვთ. როგორ ფიქრობთ, თუ მიწვეულ მოთამაშეებთან სწორად იმუშავებთ, შესაძლებელი იქნება ძირითადის მოთამაშეების წასვლით გამოწვეული დანაკლისის ანაზღაურება?**

— დღეს ფეხბურთში ნორმალური შეკრების გარეშე კარგი შედეგის მიღწევა მეტად ძნელია. უცხოეთში შეკრების მოწყობა სულ სხვაა და ბევრსაც ნიშნავს. როდესაც მოთამაშე მოწყვეტილია ოჯახს, ორჯერად ვარჯიშებს კარგ პირობებში ატარებს და დახარჯულ ენერგიას კვებით აღიდგენს, მაშინ ბევრსაც მოსთხოვ და ბევრსაც შეძლებს. ჩვენ კი თბილისში, დიდუბის, გლდანის მანეჟებსა და „სინათლის“ სტადიონის არასტანდარტულ მოედანზე ვემზადებით, მკაცრი ზამთრის პირობებში. თუმცა, ამას არ ვუშინდებით და, შეძლებისდაგვარად, ღირსეულად გვსურს ჩემპიონატში გამოსვლა. პირველ წრეში მოსამზადებელი პერიოდის გასავლელად, თუნდაც ეს თბილისში ყოფილიყო, დროც არ გვქონდა. ხაზი მინდა გავუსვა ერთ გარემოებას — ჩვენ არ გაგვაჩნია ისეთი ფინანსები, როგორც მოწინავე გუნდებს, მაგრამ მაინც ლიდერებში ვიმყოფებით. ეს კი პრეზიდენტის დამსახურებაა. ამას პირფერობით არ ვამბობ და მოთამაშეებიც დამეთანხმებიან — ყველა დავალიანება გასტუმრებულია. ასეთი კაცია ნავაძე — აუცილებლად ასრულებს შეპირებულს. ყაირათიანი კაცია და ფინანსებსაც გონივრულად ანაწილებს.

...ისევ მომზადებას დავუბრუნდები. ლიდერებს რომ აქვთ, ისეთ პირობებში შეიძლება გარკვეული საფუძვლის შექმნა ჩემპიონატში კარგად გამოსასვლელად.

**— თქვენი ვარჯიშები მეტწილად უბურთო დატვირთვებს შეიცავს. ასე რატომ ხდება?**

— თავიდან ასე იქნება, შემდეგ კი ბურთთან ვარჯიშების რაოდენობაც გაიზრდება. მზადების პერიოდი ისე გავანაწილე, რომ თითოეული კომპონენტის გაუმჯობესებას გარკვეული ეტაპი ეთმობა. ამჟამად აქცენტი ფიზიკაზეა გადატანილი, რაკი მოთამაშეთა კონდიციებს ახლა ეყრება საფუძველი. თორემ, ისე, ფეხბურთელისთვის ბურთთან ვარჯიშებია მთავარი.

**— როდის დადგინდება გუნდში დამრჩენთა ვინაობა?**

— თებერვლის შუა რიცხვებისთვის. გუნდში დარჩენის გარანტია წინასწარ არავისთვის მიგვეცია, გაშვება უმტკივნეულოდ რომ აღიქვან. ფეხბურთი საქველმოქმედო საქმიანობა არ გახლავთ — ძლიერი უნდა დარჩეს, სუსტი კი წავიდეს. ეს არავის უნდა დარჩეს საწყენად.

**— გუნდში „კოლხეთისგან“ ტრანსფერზე წარდგენილი ბახვა ამბიძე ვარჯიშობს. გაქვთ კი იმის საშუალება, რომ ფოთელებთან პრობლემა მოაგვაროთ?**

— ჯერჯერობით მიჭირს ამის თქმა, რადგან ჯერ თავად ამბიძისა და „კოლხეთის“ ურთიერთობაა გასარკვევი და მხოლოდ შემდეგ შევეცდებით, ამ საქმეში ჩავერიოთ. რა გამოვა აქედან, ვერ გეტყვით.

**— „მერანში“ ზაზა ბაკურაძეც ვარჯიშობს, რომელიც ერთი წელი ფეხბურთს იყო ჩამოშორებული...**

— ზაზა თავის დროზე იმედის მომცემი ფეხბურთელი იყო, კარგადაც თამაშობდა, თუმცა შემდეგ საქმეები აერია და ისეთ დონეზე ვერ ითამაშა, როგორც შეეძლო. მე მინდა კიდევ ერთხელ მივცე მას თავის გამოვლენის საშუალება. ვფიქრობ, ნორმალური მომზადების შემდეგ იგი უნდა ათამაშდეს.

**— როგორ გამოიყურებიან ჩინეთიდან დაბრუნებული გოგიტაძე და მალანია?**

— ჯერ მათ მდგომარეობაზე საუბარი ნაადრევია. ჩამოსვლის შემდეგ მათ, ფაქტობრივად, არც უთამაშიათ. მალანიას ზედმეტი წონა აქვს, მაგრამ მოსამზადებელი პერიოდი ჯერ ახალი დაწყებულია და სრულიად შესაძლებელია აღიდგინონ ფორმა.

**— რა მიზანი ექნება „მერანს“ მეორე წრეში?**

— მიუხედავად პირველი წრის კარგი შედეგისა, მიზნებზე წინასწარ მაინც არაფერს ვიტყვი. მთავარია ლამაზი და სწორი ფეხბურთი ვითამაშოთ.

**— ეს ყველაფერი ხომ შედეგით უნდა გამოიხატოს...**

— ფეხბურთი ისეთი თამაშია, რომ წინასწარ ვერაფერს განსაზღვრავ. მართალია, ჩვენს კონკურენტებს — „მარგვეთს“ და „გურიას“ საქმე ცუდად აქვთ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ვითარება შეიცვალოს. ისიც გაითვალისწინეთ, რომ საკმაოდ გაძლიერდა „ტორპედო“. დარწმუნებული ვარ, ქუთათურები დაკარგულ ქულებს მეორე წრეში აინაზღაურებენ. ერთს კი ვიტყვი — მეორე წრეში „მერანი“ კვლავ ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

**— თქვენ, ფაქტობრივად, ნორმალურ მოედანზე არ ემზადებით. ეს მოთამაშეებზე სრულფასოვანი წარმოდგენის შექმნაში არ შეგიშლით ხელს?**

— რა თქმა უნდა. ის, რომ სტანდარტულ მოედანზე ვერ ვვარჯიშობთ, პრობლემაა, მაგრამ აქ მწვრთნელს პროფესიონალიზმმა და მოთამაშეთა შერჩევის უნარმა არ უნდა უღალატოს. მალე საკონტროლო შეხვედრებს ჩავატარებთ და შევხედავთ, ვის რა შეუძლია.

**— იმედი გაქვთ, რომ მეორე წრის „მერანი“ პირველ წრისაზე სუსტი არ იქნება?**

— თემურ მახარაძეს „მერანის“ იმედი მაშინ ჰქონდა, როცა ჩემპიონატი არც კი დაწყებულიყო და არც ზოგ ჩვენს მოთამაშეს ჰქონდა პირველ ჯგუფში თამაშის გამოცდილება. ახლა კი მითუმეტეს. რა თქმა უნდა, მაქვს იმედი.

**— გუნდში ისეთი მოთამაშეები გყავთ, ვინც ან უსახელოა, ანაც სხვა გუნდიდან გაშვებული. ეს რა, თქვენი პრინციპია?**

— შეიძლება მოთამაშე ძლიერი იყოს, მაგრამ ჩემს ტაქტიკურ მონახაზს ვერ მოერგოს. ყველა მწვრთნელს თავისებური ფანტაზია აქვს. ჩვენ ისეთი ფინანსური ბაზა არ გაგვაჩნია, რომ სასურველი მოთამაშეები მოვიწვიოთ. არადა, ბევრი მივიწყებული და ჩრდილში მყოფი ფეხბურთელია, უნიჭობას რომ ვერ დასწამებ, ეგაა, რომ მომზადება აკლიათ. თუ არ მოამზადე ფეხბურთელი, რაც უნდა ნიჭიერი იყოს, ვერასდროს გაიხსნება. მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. როგორ საფუძველს ჩაყრი, შედეგსაც ისეთს მიიღებ. ამ მივიწყებულ ბიჭებს ჩვენ თავის გამოვლენის შანსს ვაძლევთ. მაგრამ ყველაფრის პასუხს თამაში იძლევა. შესაძლოა, ფეხბურთელი კარგად მოემზადოს, მაგრამ მოედანზე გამოსვლისთანავე კარგი შთაბეჭდილება გაგიქარწყლოს. ჩემს ნაფიქრ ტაქტიკას ყველა შეიძლება არც ერგებოდეს, მაგრამ ღმერთმა უწყის, მოსამზადებელ ეტაპზე ვინ როგორ გამოავლენს თავს.

**— თქვენ იყენებთ ჩვენი გუნდებისგან განსხვავებულ 5-4-1 ტაქტიკას. თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, მოთამაშეებს თქვენთვის სასურველი ტაქტიკისთვის ირჩევთ და მაინც გკითხავთ — „მერანის“ ტაქტიკური განლაგება 5-4-1 მოთამაშეთა არჩევანით ხომ არ არის გამოწვეული?**

— საერთოდ, ამის შესახებ ძნელია საუბარი. ტაქტიკის არჩევა ხდება იმის მიხედვით, თუ როგორი მოთამაშეები გვყავს. ამავე დროს, მოთამაშეს ისეთი დავალება უნდა მისცე, რომელსაც იგი შეასრულებს. ცუდი მწვრთნელი ყოველთვის უკმაყოფილო იქნება მოთამაშით, რადგანაც ისეთ რამეს დააკისრებს მოთამაშეს, რომელსაც იგი თავს ვერ გაართმევს. კარგმა მწვრთნელმა იცის თავისი იდეალი და მისკენ სავალი გზების ძიებაშია.

**— თქვენი იდეალი რა არის? და საიდან იწყებთ ამ გზის ძიებას?**

— თანამედროვე ფეხბურთის ანალიზისას ძნელი მისახვედრი არ იქნება, რომ ქვეყანათა დონე ადრინდელთან შედარებით გათანაბრდა. აქ მთავარია, თამაში თამაშამდე არ წააგო. ამაში მოთამაშეთა ფსიქოლოგიურ მომზადებას ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა. რაც უნდა ძლიერი მოწინააღმდეგე გყავდეს, არ უნდა შეუშინდე. ისე უეჭველად წააგებ და ვერც მოთამაშეები გამოავლენენ თავს ბოლომდე. ვფიქრობ ფსიქოლოგიური მომზადების წყალობით დავამარცხეთ „კოლხეთი“ (4:0) და ფრედ ვითამაშეთ „დინამოსთან“ (0:0).

**— ეს იმ შემთხვევაშიც არის სისტემატიურად შესაძლებელი, როცა გუნდების ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან?**

— რა თქმა უნდა, მყარი ბაზისის გარეშე ეს მეტად ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ჩემი სამწვრთნელო საქმიანობა ფსიქოლოგიური მუშაობით იწყება და ფიზიკურ-ტაქტიკური მომზადებით ისხამს ხორცს. შეიძლება მოთამაშემ რომელიმე ეპიზოდში შეცდომა დაუშვას, მაგრამ მწვრთნელი ტაქტიკის არჩევისას და ფეხბურთელის მომზადებისას არ უნდა შეცდეს.

**— წეღან აღვნიშნეთ, რა კატეგორიის მოთამაშეები გყავთ აყვანილი გუნდში. ასეთების ფსიქოლოგიურად შემზადება ლიდერების წინააღმდეგ ადვილი არ იქნება...**

— ამას დრო სჭირდება. მწვრთნელს მოთამაშეებზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენა უნდა შეეძლოს. თუ ასე არ არის, ფსიქოლოგი უნდა იყოლიოს. თუმცა, ვიმეორებ, ყველაზე უკეთესი ფსიქოლოგი თავად მწვრთნელი უნდა იყოს. იქნებ მიაქციეთ ყურადღება — პირველ ხუთ ტურში „მერანი“ სამჯერ დამარცხდა, დანარჩენ ათ მატჩში კი — მხოლოდ ერთხელ. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მოთამაშეებმა თანდათან ირწმუნეს საკუთარი ძალა. დრო გავა, ფეხბურთელები უკეთ შეთამაშდებიან, და რწმენაც გაძლიერდება. საკუთარი ძალების რწმენა კი ბევრს შეაძლებინებს „მერანს“. მე მჯერა ჩემი გუნდის.

**მერაბ გამყრელაშვილი**

## ინგლისი

### ნიუკასლი 4:3 ლესტერი

**ნიუკასლი:** ჰისლოპი, უოტსონი, რელიოტი, ალბერი, პიკოკი, ბეტი, ლი, გილესპი (ჟინოლა 68), ასპრილია (კლარკი 87), შირერი, ფერდინანდი
**ლესტერი:** კელერი, გრეისონი, უოტსი, პრაიორი, მ. ელიოტი, იზეტი, ლენონი, ტეილორი, პარკერი, კლარიჯი, ჰესკი
**გოლი:** რ. ელიოტი (3), მ. ელიოტი (55), კლარიჯი (60), ჰესკი (68), შირერი (77, 83, 90)

მატჩის შემდეგ „ნიუკასლის" მწვრთნელმა დალგლიშმა თქვა, ახლა ვხვდები, რატომ გაუჭალარავდა თმა კიგანს, მაკდერმოტს კი სულაც გაუთეთრდაო.

შეხვედრა სტუმართა უპირატესობით დაიწყო და კარგა ხანს ასეც გაგრძელდა. არადა, ელიოტმა დასაწყისშივე დააწიოკა „ნიუკასლი", თამაშით კი მაინც „ლესტერი" სჯობდა. მე-14 და 27-ე წუთებზე ჰისლოპმა იხსნა თავისიანები იზეტისა და ლენონის დარტყმების შემდეგ. პირველ ნახევარში მასპინძლები ბოლოსკენლა გააქტიურდნენ, მაგრამ მათ ქაოტურ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია. მეორე ნახევარი ბრწყინვალე სანახავი გამოდგა. ჯერ „ლესტერმა" გაიტანა სამი ბურთი 15 წუთში, მერე კი, ტაიმის მიწურულს, შირერმა დაბომბა სტუმართა ამერიკელი მეკარე კეისი კელერი. „ოქსფორდიდან" მილიონნახევარ გირვანქად შეძენილმა მაქს ელიოტმა პარკერის ჩაწოდების შემდეგ თაურით გააყაიმა. მალე კლარიჯმა ჰისლოპს შორ კუთხეში გაუტანა. სტადიონზე სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, ჰესკიმ კი გულშემატკივრებს გამარჯვების იმედი გადაუწურა: კლარიჯის პასის მერე ამან ბეტი მოატყუა და ჰისლოპს ერთხელაც გამოატანინა კარიდან ბურთი. დალგლიშმა იმავ წუთს უნიათოდ მოთამაშე ჩრდილოირლანდიელი გილესპი ფრანგი ჟინოლათი შეცვალა. ეს „ნიუკასლს" უმალ დაეტყო. 77-ე წუთზე ტეილორმა ჟინოლასთან იუხეშა, მსაჯმა გააფრთხილა და ჯარიმაც დანიშნა. დარტყმა კლუბისა და ჩემპიონატის უპირველესმა ბომბარდირმა შირერმა ითავა და შეაგდო კიდეც — 20 მეტრიდან დარტყმული ტყვიასავით შევარდა კელერის კარში. მალე სტუმართა მეკარემ ასპრილიას კონტრშეტევა გააუვნებელა. ლისაც აუღო, მაგრამ შირერთან კვლავ ვერას გახდა. ალანმა ბოლო წუთზეც შეუგდო: ლიმ ფლანგური სოლო რეიდის შემდეგ ჩააწოდა შირერს, ამან კი გაიტანა და „ნიუკასლს" მოაგებინა. 37 ათასი მაყურებელი სიხარულისაგან ღრიალებდა. ბოლო წამებზე ჟინოლას მეხუთეს გატანა შეეძლო, მაგრამ დარტყმას ძალა დააკლო და კელერმა ადვილად მოიგერია ბურთი. მატჩის შემდეგ დალგლიშმა თქვა, „იუნაიტედი" ხუთი ქულით კი გვისწრებს, მაგრამ იმედი მაქვს, წელს ჩემპიონები ჩვენ გავხდებითო.

### ასტონ ვილა 1:0 სანდერლენდი

**ასტონ ვილა:** ბოზნიჩი, ნელსონი, რაიტი, ეჰიოგუ, სტონტონი, საუთგეიტი, შიმეცა, ტილერი, მილოშევიჩი, იორკი, ჩურჩიჩი (ჰენდრი 76)
**სანდერლენდი:** პერეზი, კუბიჩკი (ხმიტი 56), ბალი, ბრაისველი, რეი, ერიქსონი, გრეი (რასელი 83), ორდი, კელი, მულინი, უილიამსი
**გოლი:** მილოშევიჩი (37)

„ვილამ", როგორც იქნა, იმარჯვა. ტეილორის, თაუნსენდის, დრეიპერის და ჯონსონის არყოფნის მიუხედავად, ბირმინგემელებმა წელს პირველად გაიმარჯვეს. სტუმრებს აკლდათ ტრავმირებული ქუინი, თუმცა დებიუტანტად მოგვევლინა შვედეთის „ჰელსინგბორგიდან" გადაყვანილი მცველი იან ერიქსონი, ვინაც ძველი კლუბის შემადგენლობაში უეფას თასზე „ასტონ ვილას" დამარცხებაში თავისი წვლილი შეიტანა. მე-7 წუთზე ბოზნიჩმა კელის დარტყმული კუთხურზე მოიგერია, გრეის ჩაწოდებულს კი ერიქსონის ხარიხას გადაცილებული თაური მოჰყვა. ტაიმის შუაში იორკმა და მილოშევიჩმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, მაგრამ პერესმა იყოჩაღა. მასპინძლები კვლავ უტევდნენ და მალე ანგარიშიც გახსნეს: მილოშევიჩმა ორ მეტოქესთან ბრძოლაში ბურთიც შეინარჩუნა და პერესსაც გაუტანა. ეს მისი მეშვიდე გოლია ამ სეზონში. მეორე ნახევარში საშა ჩურჩიჩთან ორთაბრძოლისას ყვითელი ბარათით დასაჯეს დებიუტანტი ერიქსონი, ოთხ წუთში კი კუბიჩკი დაშავდა და გამოცვალეს. 63-ე წუთზე ბირმინგემელებს მეორედაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ ეჰიოგუმ ააცილა. შეხვედრის მიწურულს სტუმრებს გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ რეის დარტყმულს, რომელიც ბოზნიჩმა უხეიროდ მოიგერია, არავინ დაამატა.

# SHEARAAH!

### ბლექბერნი 2:1 ვესტ ჰემი

**ბლექბერნი:** ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, ლე სო, გალაჰერი, სატონი, უილკოქსი (დონისი 66), მაკკინლი, ბერგი, ფლიტკროფტი
**ვესტ ჰემი:** სილი, ბრეიკერი, დიქსი, უილიამსონი, ბიშოპი, რიპერი, როულენდი (ლაზარიდისი 69), ნევილი, ჯოუნზი (ფერდინანდი 46), ჰიუზი, ბილიჩი
**გოლი:** გალაჰერი (36), სატონი (39), ფერდინანდი (64)

ორივე გუნდი სახიფათო ზონაშია, წინა ტურშიც ორივემ წააგო, ასე რომ ამჯერად ერთმანეთი უნდა „შეეჭამათ". ლონდონელებმა ბოლო 17 შეხვედრაში ერთადერთხელ მოიგეს, მათი მწვრთნელი ჰარი რედნეპი კი რატომღაც იმედიანად იყო, დღეს მეორედაც ვიმარჯვებთო. მატჩის წინ ცნობილი გახდა, რომ მომავალ სეზონში „ბლექბერნს" „სამპდორიას" შვედი მწვრთნელი სვენ-გორან ერიქსონი უხელმძღვანელებს. „გადაწყვეტილება საბოლოოა. მე იგი თვენახევრის წინ მივიღე, მას მერე არაფერი შეცვლილა" — განაცხადა ერიქსონმა, ვისაც „ლაციოც" ეპატიჟებოდა. ტრავმის მერე ნელ-ნელა ყოჩაღდება ლე სო, ვინაც ჰოდლის გუნდის კანდიდატია.

შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათ დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ გამარჯვება, მაგრამ ხან ფორვარდები სცოდავდნენ, ხანაც ტრავმირებული მიკლოშკოს ნაცვლად მოთამაშე სილი იგიჟებდა თავს. საწყის 20 წუთში მან ჯერ ჰენდრის სახიფათო შორეული დარტყმა აიღო, შემდეგ ბერგის თაური. მერეც ძალიან ეცადა, კარი მშრალად შეენახა, მაგრამ სამ წუთში ორი გაუტანეს — ჯერ გალაჰერმა, მერე სატონმა. მეორე ტაიმში „ნიუკასლის" ლეს ფერდინანდის ნათესავმა, რიო ფერდინანდმა გოლი გაიტანა, მაგრამ თავისიანებს ქულის გადარჩენაში მეტად ვერ დაეხმარა.

### დერბი ქაუნთი 0:1 ლივერპული

**დერბი:** ჰოლტი, კერსლი, ლაურსენი (კარბონი 25; ხიმფსონი 85), მაკგრათი, როუეტი, ხ. პაუელი (ფლინი 85), ტრილოპი, ვან დერ ლაანი, სტარიჯი, დ. პაუელი, ასანოვიჩი
**ლივერპული:** ჯეიმსი, მაკატირი, რაიტი, კვარმე (ტომასი 59), ბები, ბიორნებიუ, ბარნსი, რედნეპი, მაკმანამანი, კოლიმორი, ფაულერი
**გოლი:** კოლიმორი (75)

„დერბიმ" უკანასკნელად უმასპინძლა წითლებს „ბეისბოლ გრაუნდზე" — ახალი სეზონიდან სტუმრებს ახალ სტადიონ „პრაიდ პარკზე" დაუხვდება. „ლივერპულს" მხოლოდ გამარჯვება სწყუროდა, რათა ჩემპიონობისთვის „იუნაიტედს" შერკინებოდა და მიაღწია კიდეც საწადელს.

სტუმართა შეტევები დიდ ხიფათს უქმნიდა მასპინძლებს, მაგრამ „დერბი" ვაჟკაცურად იცავდა თავს. პირველი სახიფათო მომენტი მასპინძელთა კართან შეიქმნა: რედნეპმა მაკმანამანი მოძებნა, ამისი მოჭრილად დარტყმული ბურთი კი მცირედით ასცდა ჰოლტის კარის ძელს. ტაიმის შუაში მასპინძლებს იძულებითმა შეცვლამ მოუწიათ — ფაულერთან ორთაბრძოლისას დაშავდა დანიელი იაკობ ლაურსენი და იგი კარბონიმ შეცვალა. 42-ე წუთზე „დერბის" მარჯვენაფლანგელებმა კერსლიმ და ასანოვიჩმა იძალეს, ზედიზედ ორჯერ უჩხვლიტეს მეტოქეს, მაგრამ ერთხელ მაკატირმა შეაგება ზურგი ბურთს, მეორედ ჯეიმსმა ივარგა. მეორე ტაიმის დასაწყისში ნორვეგიელმა კვარმემ პაუელთან შეჯახებისას კინაღამ ფეხი მოიტეხა. ტრავმირებულმა დიდხანს ველარ ითამაშა და ტომასით შეცვალეს. ლივერპულელები კვლავ უტევდნენ და მალე კოლიმორმა გაიტანა სამი ქულის მომტანი გოლი, რომელიც მისთვის სეზონში მეთერთმეტეა.

### ევერტონი 2:0 ნოტინგემი

**ევერტონი:** გერარდი, ბარეტი, უოტსონი, ანსუორსი, ფელანი, სტიუარტი, პარკინსონი, ტომსენი, სპიდი, ბარმბი, ფერგიუსონი
**ნოტინგემი:** კროსლი, ლიტლი, პირსი, კუპერი, ჩეტლი, ბარტ-უილიამსი, ფილიპსი, კემპბელი, უოენი, ალენი (მაკგრეგორი 62), ჰაალანდი
**გოლი:** ფერგიუსონი (48), ბარმბი (67)

საშინელი კრიზისის შემდეგ „ევერტონმა", როგორც იქნა, იმარჯვა. მანამდე ლივერპულელებმა ჩემპიონატში ზედიზედ შვიდჯერ წაგებას თასის გათამაშებაში ქვედალიგელ „ბრედფორდთან" შინ 1:4 მარცხიც დაურთეს. „ნოტინგემს" კი, ეტყობა, კვლავ დაეწყო კრიზისი: ზედიზედ ხუთი გამარჯვების შემდეგ სტიუარტ პირსის გუნდმა წინა ტურშიც წააგო — შინ, „ქოვენტრისთან".

ლივერპულელებს პირველივე ტაიმში შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ კროსლიმ იმარჯვა: მე-5 წუთზე მან ბარმბის ახლოდან დარტყმული აიღო, სამ წუთში მასვე მეორეც აუღო, მე-15-ზე კი პარკინსონის სახიფათო თაური მოიგერია. ტაიმის შუაში ორი მცველის მოტყუების შემდეგ კროსლისთან პირისპირ დარჩენილმა სტიუარტმა ვერაფერი დააკლო მეკარეს. მეორე ტაიმის დაწყება და ფერგიუსონის გოლი ერთი იყო — უოტსონმა სტიუარტს გადააწოდა, ამან ფერგიუსონს, შოტლანდიელმა გზად სამი მცველი გააბითურა, მერე მეკარესაც ეფექტურად აუარა გვერდი და ცარიელ კარში შეაგორა. 57-ე წუთზე „ნოტინგემს" გაყაიმების შანსი მიეცა, მაგრამ ჰაალანდის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა და კუთხურზე გადავარდა. ათ წუთში კი ფერგიუსონმა თავით ანსუორსს დაუდო, ამან გრძელი პასით ბარმბი გაიყვანა გარღვევაზე და ფორვარდმაც „ნოტინგემი" მეორედ დაალონა.

### ლიდსი 0:0 არსენალი

**ლიდსი:** მარტინი, კელი, დორიგო, რადებე, უოლესი, რაში, დინი (გრეი 83), ბოუერი, შეილი, ჯექსონი, მოლენაარი
**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, ვინთერბერნი, ვიეირა, ბოულდი, ადამსი, მერსონი, პარლოუ, ჰართსონი (რაიტი 73), მარშალი, ჰიუზი

მასპინძლებმა სამი გოლი გაიტანეს, მაგრამ თანამსაჯებმა სამჯერვე თამაშგარე დააფიქსირეს. მატჩის შემდგომ „ლიდსის" მწვრთნელი ჯორჯ გრემი განრისხებული ლაპარაკობდა მსაჯთა არაობიექტურობაზე, მისმა კოლეგამ, ლონდონელთა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა კი მისი გუნდის სუსტი თამაში მინდვრის ძალიან დაბალი ხარისხით ახსნა. მისი თქმით, ლიდსის მოედანი ყველაზე ცუდია მთელს ალბიონზე. მასპინძელთათვის ეს შეხვედრა იმითაც იყო გამორჩეული, რომ მათ ახალი მწვრთნელის თავკაცობით ჩატარებული 14 შეხვედრიდან ათში კარი მშრალად შეინახეს.

პირველივე წუთებიდან არსენალელ პოლ მერსონს ჩრდილივით აედევნა სამხრეთ აფრიკელი ლუკას რადებე. აედევნა და დავალებას თავიც გაართვა, რითაც ლონდონელთა შეტევებს სიმწვავე მოაკლო. თავის მხრივ ცუდად გაისარჯა უელსელი იან რაში, ვინაც პირველ ნახევარში ორი, მეორეში კი სამი საგოლე მომენტი გააცუდა. მე-20 წუთზე საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს უოლესმა თაური დაურთო და გაიტანა კიდეც, მაგრამ მანამდე თანამსაჯს ალამი ჰქონდა აწეული. 37-ე წუთზე პირველი ჩაუთვლელი გოლის ავტორმა მეორეც შეაგდო, მაგრამ არც ის ჩაუთვალეს. მეორე ტაიმში მეტოქეებმა თითო საგოლე მომენტი გააცუდეს. დამთავრებამდე სამი წუთით ადრე რაშმა გაიტანა, მაგრამ კვლავ არ ჩათვალეს.

### მანჩესტერი 2:1 საუთჰემპტონი

**იუნაიტედი:** შმაიხელი, ნევილი, ირვინი, პალისტერი, კანტონა, ბექემი, გიგზი, პობორსკი (კოული 74), კონი, სოლსკიაერი, კლევი (იონსენი 83)
**საუთჰემპტონი:** ტეილორი, ნილსონი, მონკუ, დრაიდენი, ლე ტისიე, მედისონი, მეჯილტონი, ოსტენსტადი, ბეშამი, ბერკოვიჩი (ჰიუზი 71), ჩარლტონი (რობინსონი 61)
**გოლი:** ოსტენსტადი (11), პალისტერი (19), კანტონა (80)

პირველ წრეში, სტუმრად, „იუნაიტედი" 3:6 დამარცხდა, ამიტომაც მისი ქომაგები სასტიკ შურისძიებას ითხოვდნენ. შეხვედრა თავიდან ბოლომდე მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და რომ არა უიღბლობა, „იუნაიტედი" ძალზე დიდი ანგარიშით გაიმარჯვებდა. სქოულზის ტრავმის გამო ფერგიუსონმა ძირითადში პობორსკი დააყენა და არც შემცდარა: მე-5 წუთზე ჩეხმა კარგად გადააწოდა ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ ბექემს, მაგრამ იმან გააცუდა, ორ წუთში კი ისევ პობორსკის პასით უელსელმა გიგზმა ვერ ივარგა. ვერ გაიტან, გაგიტანენ და მეჯილტონის პასის შემდეგ ნორვეგიელმა ოსტენსტადმა შმაიხელს შანსი არ დაუტოვა. ამას გულშემატკივრები ნამდვილად არ ელოდნენ და იქაურობა სტვენით გააყრუეს. მალე მანჩესტერელთა შეტევა ტეილორმა კუთხურზე მოიგერია. კანტონამ ჩააწოდა, ბებერმა პალისტერმა კი სეზონში პირველად გაიხარა. მეორე ნახევარში „საუთჰემპტონი" მასპინძელთა წნეხის ქვეშ მოექცა. კანტონა, კლევი, ბექემი, გიგზი და სოლსკიაერი ზედიზედ აფუჭებდნენ მომენტებს, პობორსკისაც დაღლა დაეტყო და მწვრთნელმა იგი კოულით შეცვალა. ენდის შესვლამ თავდასხმა აშკარად გააძლიერა, მაგრამ ბურთი კარში არა და არ შედიოდა. 77-ე წუთზე კანტონას დაწყებული კომბინაცია გიგზმა გააგრძელა — კოულს გადააწოდა, მაგრამ ამის დარტყმულმა ბურთმა მარჯვენა ძელს ჩაუზუზუნა. სამ წუთში კი მანჩესტერმა შვებით ამოისუნთქა: მარჯვენა ფლანგზე გარღვევის შემდეგ გიგზმა ბურთი კანტონას დაუგორა და ფრანგმაც შეაგდო. სტადიონი სიხარულისგან ლამის ჩაინგრა. ბოლო ათ წუთში კი კოულმა და სოლსკიაერმა თითო-თითოც ააცილეს.




უიმბლდონი — მიდლსბრო. ქუნინიოს და კანინგემის შეჯახება

### შეფილდი 0:0 ქოვენთრი

**შეფილდი:** პრესმენი, ატერტონი, ნოლანი, პემბრიჯი, უოქერი, ვითინგემი (ბლინკერი 71), ჰერსტი (ტრასტფული 81), ბუთი, ჰაიდი, ნიკოლი, სტეფანოვიჩი
**ქოვენთრი:** ოგრიზოვიჩი, შოუ, უილიამსი, რიჩარდსონი, ჯესი, ველანი (ნდლოვუ 81), მაკალისტერი, ტელფერი, ჰოლი, ბრინი, ჰაკერბი

სტუმართა გუნდში პირველად ითამაშა „ბირმინგემ სიტიდან" ორნახევარ მილიონ გირვანქად გადაყვანილმა ჩრდილოირლანდიელმა გარი ბრინმა. დებიუტანტის კვალობაზე მას ცუდად არ უთამაშია. კარგად გაისარჯა ვეტერანი სტივ ოგრიზოვიჩიც.

### ტოტენჰემი 1:2 ჩელსი

**ტოტენჰემი:** უოქერი, ედინბურგი (ფოქსი 72), ჰოუელსი, ნილსენი, ნეზერკოტი (უილსონი 80), ივერსენი, კემპბელი, კარი (ანდერტონი 56), სინტონი, ალენი, ოსტინი
**ჩელსი:** ჰიჩკოკი, პეტრესკუ, ლებეფი, კლარკი, უაიზი, დი მატეო, მინტო, სინკლერი, ნიუტონი, ძოლა (იონსენი 88), ჰიუზი
**გოლი:** კემპბელი (1 საკ. კარში), დი მატეო (53), ჰოუელსი (83)

„ტოტენჰემი" ბოლო ექვს შეხვედრაში მეხუთედ დამარცხდა, „ჩელსი" კი მასპინძელთან, უკვე 17 თამაშია, არ დამარცხებულა. კვლავ არ თამაშობდა ვიალი. „ტოტენჰემს" ტრავმირებული არმსტრონგი და შერინგემი აკლდა, სამაგიეროდ, კარგა ხნის იძულებითი შესვენების შემდეგ გუნდს დაუბრუნდა დარენ ანდერტონი. თამაში კურიოზით დაიწყო. 30-ე წამზე „ჩელსიმ" ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვა. ბურთთან ამ საქმის დიდოსტატი ძოლა მივიდა, მისი დარტყმული კი კემპბელმა საკუთარ კარში ჩაჭრა. მე-16 წუთზე იმავე ძოლას დარტყმული ჯარიმა მეკარემ ძლივს მოიგერია კუთხურზე. ტაიმის შუაში ნეზერკოტს ორჯერ მიეცა გათანაბრების შანსი, მაგრამ ორჯერვე მცირედით ააცილა. 37-ე წუთზე სინტონს შეეძლო გატანა, მაგრამ ლებეფმა ჩახტომით სუფთად აართვა ბურთი. მეორე ტაიმში „ჩელსის" შეტევები გამძაფრდა, ძლიერად ათამაშდა მარკ ჰიუზი, რომლის ორი დარტყმა უოქერმა გაჭირვებით აიღო. მერე მეორე იტალიელმა, დი მატეომ დაანახა ყველას, რომ მარტო ძოლას არ ძალუძს ლამაზი გოლების გატანა: დაახლოებით 25 მეტრიდან დი მატეოს ცაციიო დარტყმული ბურთი ტყვიასავით შევარდა კარში. გოლმა მასპინძელთა გულშემატკივრების ტაშიც კი დაიმსახურა.

### უიმბლდონი 1:1 მიდლსბრო

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, კობლი, ჯოუნზი, ბლექველი, ერლი, ეკოკუ (ჰოლდსუორსი 59), გეილი (გუდმენი 85), პერი, ერდლი (ფეარი 71), ჯაპი
**მიდლსბრო:** რობერტსი, კოქსი, ვიკერსი, ემერსონი, მასტო, ბეკი, ჟუნინიო, მური, ფლემინგი, ფესტა, სტამპი
**გოლი:** კოქსი (22 საკ. კარში), მასტო (75)

ანგარიში ასე გაიხსნა: გეილმა საჯარიმოში ჩააწოდა, კოქსი ჩაჭრას შეეცადა, მაგრამ საკუთარ მეკარეს გაუტანა. მეორე ტაიმში სტუმრებმა იძალეს და უპირატესობა ტაბლოზეც ასახეს. გოლი კაპიტანმა რობი მასტომ გაიტანა. სტუმრებს მანამდეც, 66-ე წუთზე შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ ვერ მოახერხეს: სტამპის პასი ერლიმ ხელით შეაჩერა, მსაჯმა პენალტი დანიშნა, რავანელი დისკვალიფიცირებულია, ამიტომ დარტყმა ბრაზილიელმა ემერსონმა ითავა, მაგრამ სალივანმა აჯობა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 25 | 14 | 8 | 3 | 50:28 | 50 |
| ლივერპული | 25 | 14 | 7 | 4 | 42:20 | 49 |
| არსენალი | 25 | 13 | 8 | 4 | 43:23 | 47 |
| ნიუკასლი | 25 | 13 | 6 | 6 | 50:30 | 45 |
| ჩელსი | 24 | 11 | 8 | 5 | 38:33 | 41 |
| უიმბლდონი | 23 | 11 | 6 | 6 | 36:28 | 39 |
| ასტონ ვილა | 25 | 11 | 6 | 8 | 32:25 | 39 |
| შეფილდი | 24 | 8 | 11 | 5 | 26:27 | 35 |
| ევერტონი | 25 | 8 | 7 | 10 | 34:38 | 31 |
| ტოტენჰემი | 24 | 9 | 4 | 11 | 27:33 | 31 |
| ლიდსი | 25 | 8 | 6 | 11 | 21:27 | 30 |
| სანდერლენდი | 25 | 7 | 8 | 10 | 23:32 | 29 |
| ბლექბერნი | 24 | 6 | 9 | 9 | 26:25 | 27 |
| ლესტერი | 24 | 7 | 6 | 11 | 25:35 | 27 |
| ქოვენთრი | 25 | 6 | 9 | 10 | 23:33 | 27 |
| დერბი ქაუნთი | 24 | 5 | 10 | 9 | 22:30 | 25 |
| ნოტინგემი | 25 | 5 | 8 | 12 | 23:40 | 23 |
| ვესტ ჰემი | 24 | 5 | 7 | 12 | 20:32 | 22 |
| საუთჰემპტონი | 23 | 5 | 5 | 13 | 32:40 | 20 |
| მიდლსბრო | 24 | 5 | 7 | 12 | 30:44 | 19 |

## პირველი დივიზიონი

ოქსფორდი — სიტი 1:4, ბოლტონი — ბირმინგემი 2:1, ბრედფორდი — ჰადერსფილდი 1:1, გრიმსბი — ჩარლტონი 2:0, ნორვიჩი — ბარნსლი 1:1, პორტ ვეილი — ვესტ ბრომვიჩი 2:2, პორტსმუთი — ოლდემი 1:0, ქპრ — კრისტალ პალასი 0:1, საუთენდი — იფსვიჩი 0:0, სვინდონი — შეფილდ იუნაიტედი 2:1, ტრანმერი — რედინგი 2:2, ვულვერჰემპტონი — სტოკსიტი 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 31 | 18 | 10 | 3 | 65-39 | 64 |
| ვულვზი | 30 | 15 | 7 | 8 | 42-28 | 52 |
| ბარნსლი | 29 | 14 | 9 | 6 | 50-35 | 51 |
| შეფილდი | 30 | 14 | 8 | 8 | 50-33 | 50 |
| ნორვიჩი | 30 | 13 | 7 | 10 | 41-42 | 46 |
| კრისტალ პალ. | 29 | 11 | 10 | 8 | 53-32 | 43 |
| ტრანმერი | 30 | 12 | 7 | 11 | 42-39 | 43 |
| პორტ ვეილი | 31 | 10 | 13 | 8 | 38-35 | 43 |
| სტოკ სიტი | 29 | 12 | 7 | 10 | 37-40 | 43 |
| ქუინზ პარკი | 30 | 11 | 9 | 10 | 43-42 | 42 |
| პორტსმუთი | 31 | 12 | 6 | 13 | 35-37 | 42 |
| იფსვიჩი | 30 | 10 | 11 | 9 | 41-39 | 41 |
| ოქსფორდი | 30 | 11 | 7 | 12 | 42-38 | 40 |
| ჰადერსფილდი | 31 | 10 | 10 | 11 | 37-42 | 40 |
| სვინდონი | 30 | 11 | 6 | 13 | 45-42 | 39 |
| ბირმინგემი | 27 | 9 | 10 | 8 | 30-27 | 37 |
| ვესტ ბრომვიჩი | 30 | 7 | 14 | 9 | 46-52 | 35 |
| ჩარლტონი | 29 | 10 | 5 | 14 | 30-40 | 35 |
| რედინგი | 30 | 8 | 10 | 12 | 37-46 | 34 |
| სიტი | 29 | 9 | 5 | 15 | 33-43 | 32 |
| ბრედფორდი | 31 | 7 | 10 | 15 | 29-46 | 31 |
| საუთენდი | 30 | 6 | 11 | 13 | 28-52 | 29 |
| ოლდემი | 28 | 6 | 10 | 12 | 30-35 | 28 |
| გრიმსბი | 29 | 6 | 9 | 14 | 35-53 | 27 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხოლოდ მარხვითა და ლოცვით

## იტალია

### XIX ტური

**რომა 2:0 ვიჩენცა**

50 943 მაყურებელი

რომა: ჩერვონე, თეთრაძე, ალდაირი (ტომაზი 87), პეტრუცი, კარბონი, მორიერო (ლანა 78), დიბიაჯო, ტერნი, კანდელა, ბალბო, დელვეკიო (ფონსეკა 61)

ვიჩენცა: მონდინი, ხარტორი, ბელოტი (იანუცი 76), ლოპეხი, დიგნაციო, ოტერო, მენდეხი (მ.როსი 61), დი კარლო, მაიინი, ამბროზეტი (ბეგეტო 46), მურჯიტა

გოლი: ბალბო (9,86)

გაფრთხილება: პეტრუცი, ხარტორი, დი კარლო, ბელოტი

**მილანი 2:3 სამპდორია**

55 000 მაყურებელი

მილანი: პაგოტო, კოკო, კოსტაკურტა, ბარეზი, მალდინი (ბლომკვისტი 35), ალბერტინი, დესაი, სავიჩევიჩი, ბობანი (დევიდსი 54), ვეა (რაიციგერი 73), რ.ბაჯო

სამპდორია: ფერონი, ბალერი, დინგი, მიხაილოვიჩი, პეზარეზი, კარემბე, ვერონი (კარპარელი 60), ფრანჩესკეტი (ინვერნიცი 86), ლეილი, მონტელა (სერენი 23), მანჩინი

გოლი: მანჩინი (1), ვეა (37,57), მიხაილოვიჩი (73), კარპარელი (79)

გაფრთხილება: ბარეზი, სავიჩევიჩი, პეზარეზი, ფრანჩესკეტი

გაძევება: ფერონი (23)

**პერუჯა 0:0 ინტერი**

28 000 მაყურებელი

პერუჯა: ბუჩი, გაუტიერი, კასტელინი, კოტინი, მატერაცი, დიკიარა, გორეტი (გატუზო 92), ჯუნტი, კრეკო, ნეგრი (მიულერი 79), პიცო (რაპაიჩი 79)

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, მ.პაგანინი, გალანტე, ანგლომა, ძანეტი (განცი 74), ხფორცა, ფრეზი, ვინტერი (ბერტი 74), ხამორანო, ჯორკაეფი

გაფრთხილება: გორეტი, პაგანინი, ვინტერი, ხფორცა

**რეჯანა 1:1 ნაპოლი**

11 000 მაყურებელი

რეჯანა: ბალოტა, მაცი, ბაიერხდორფერი, გალი, გროსი, პარენტე, ხაბეუ (ვალენსია 76), დენაპოლი, პაშეკუ, ხიმუტენკოვი, ვეკიოლა (ლონგი 82)

ნაპოლი: ტალიალატელა, აიალა, კოლონეზე, ბალდინი, მილანეზე, ესპოზიტო (ბორდინი 55), ბეტო (კაიო 80), კრუსი (ალტომარე 69), პეკია, ალიენტი, კაჩა

გოლი: ალიენტი (44), ბაიერხდორფერი (61)

გაფრთხილება: გალი, პარენტე, გროსი, ესპოზიტო, მილანეზე

**ბოლონია 6:1 ვერონა**

25 000 მაყურებელი

ბოლონია: ანტონიოლი, ტაროცი (კარდონე 46), ტორიზი, მანგონე, პარამატი, მაგონი, მაროკი, ხკაპოლო (შალიმოვი 58), ნერვო (ბრამბილა 71), ანდერსონი, კოლივანოვი

ვერონა: გუარდალბენი, ა.პაგანინი, ფატორი, ვანოლი, ბრაიკოვიჩი, ჯუნტა, ბაჩი, ამეტრანო (იტალიანო 46), ორლანდინი, მანიერო (დეფეტისი 46), ძანინი

გოლი: ხკაპოლო (1,49), ძანინი (19), პარამატი (21), მაროკი (27), ანდერსონი (42), შალიმოვი (81)

გაფრთხილება: პაგანინი, ვანოლი, ბრაიკოვიჩი

**კალიარი 0:0 იუვენტუსი**

30 000 მაყურებელი

კალიარი: ხტერჩელე, პანკარო, ვილა, მინოტი, ხკუკუჯა, ბეტარინი (სილვა 46), ხანა, ბერეტა, ონილი, მუცი (ლონსტრუპი 93), ტოვალიერი (კოცა 85)

იუვენტუსი: პერუცი, ტორიჩელი, ფერარა, მონტერო, პორინი, დილივიო, დეშამპი, ზიდანი, იუგოვიჩი, პადოვანო (ამორუზო 69), დელპიერო (ვიერი 81)

გაფრთხილება: ტოვალიერი, მინოტი, ონილი

გაძევება: მონტერო (34)

**პარმა 1:0 პიაჩენცა**

20 386 მაყურებელი

პარმა: ბუფონი, მუსი, ტურამი, კანავარო, ბენარივო, ხტანიჩი (ბრავო 88), ხენსინი, დ.ბაჯო, კრიპა, კიეზა, კრესპო (მელი 68)

პიაჩენცა: ტაიბი, ლუჩი, პარი, პოლონია, მ.კონტე, დელი კარი (ვალტოლინა 68), დი ფრანჩესკო, ვალოტი, შიენცა, ლუიზო (ტენტონი 68), პიოვანი (მორეტი 86)

გოლი: კიეზა (57)

გაფრთხილება: კიეზა, დელი კარი

**უდინეზე 2:3 ლაციო**

12 000 მაყურებელი

უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო (კაპიოლი 54), პიერინი, კალორი, ხერჯო, ჰელვეგი, როსიტო, დეზიდერი (ჯანიკედა 63), ხტროპა (ლოკატელი 46), პოჯი, ამოროზო

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, შამოტი, ფავალი, ფუზერი (მარკოლინი 81), ვენტურინი, ოკონი, ნედვედი, კაზირაგი, სინიორი (ფიში 69)

გოლი: სინიორი (16,61), ამოროზო (79 პ, 94), ნედვედი (90)

გაფრთხილება: ჯანიკედა, პოჯი, ნესტა

გაძევება: ფავალი (68)

**ფიორენტინა 0:0 ატალანტა**

36 000 მაყურებელი

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, პადალინო, ფალკონე (პუშედუ 91), ხერენა (მ.ორლანდო 85), პიაჩენტინი, რობიატი, რუი კოშტა, შვარცი, ბატისტუტა, ოლივეირა

ატალანტა: პინატო, კარერა, რუსტიკო, ხოტილი (კარბონე 90), ხგრო, როსინი, მორფეო (ფოლიო 77), მორკოვიჩი, გალო, ლენტინი, ინძაგი

მე-40 წუთზე ბატისტუტამ პენალტი ვერ გაიტანა

გაფრთხილება: პადალინო, შვარცი, კარნაშალი, რუსტიკო

მთავარი მატჩი „სან სიროზე" ჩატარდა: „მილანი" — „სამპდორია".

— საქმე საუცხოოდ აგვეწყო. ათნი ვიყავით, ვაგებდით და მაინც მოვიგეთ. „სან სიროზე" ასეთი შედეგის მიღწევა ურიგო არ არის — თქვა გენუელთა მწვრთნელმა შვედმა სვენ გორან ერიქსონმა.

„მილანის" პრეზიდენტს, ტელემაგნატსა და იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს სილვიო ბერლუსკონის მთელი გუნდის სალოცავად წაყვანა ურჩიეს.

— სალოცავად წასვლა, ვგონებ, მართლაც ერთადერთია, რაც დაგვრჩა. ერთხელ ძელს გავარტყით. მართალია ვეამ საუცხოო გოლები გაიტანა, ოთხი თუ ხუთი მომენტი ვერ გამოვიყენეთ — ხელები ალაპყრო მილიონერმა.

„მილანმა" სეზონში მერვე თამაში წააგო. საშველი აღარაა?

თამაშის წინ ბერლუსკონი სხვა განწყობით იყო:

— არ მჯერა, რომ „მილანი" ღრმა კრიზისშია. ყველას მსგავსად მეც განვიცდი ცუდ შედეგებს, მაგრამ მოკლე ხანში ყველაფერი გამოსწორდება. „მილანს" რეკონსტრუქცია არ სჭირდება. ჩვენს ფეხბურთელებს ყველაფერი შეუძლიათ. ყველაფერი მათ სურვილზეა დამოკიდებული.

„სამპდორიასთან" წაგების შემდეგ მწვრთნელმა არიგო საკიმ თქვა:

— არ უნდა ავღელდეთ და ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენს უმაღლესი დონის მოთამაშეებს მთელი ცოდნა და უნარი გამოვამჟღავნებინოთ.

„მილანის" კარს იმ დღეს „სამპდორიას" ყოფილი მეკარე ანჯელო პაგოტო იცავდა. თუ ამას დაცვა ჰქვია. სებასტიანო როსი ცუდ ფორმაშიაო და საკიმ პაგოტო ათამაშა. პაგოტომ ზელად გაუშვა პირველი გოლი — ბურთი მეტოქის ფეხბურთელს, რობერტო მანჩინის მიაწოდა აუხსნელი პასით და სერია A-ში კარიერის 139-ე გოლი გაატანინა.

„მილანში" ჯორჯ ვეა დაუბრუნდა მოედანს, 22 დეკემბრის მერე კოჭის ტკივილის გამო რომ არ ეთამაშა. ლიბერიელმა კითხვას, რამდენ ხანში აღიდგენს ვეა ფორმას, სასტარტო სასტვენიდან ერთ საათში ამომწურავად უპასუხა. მისმა ორმა გოლმა, რომელთაგან მეორე საუცხოოდ შეესო „სამპდორიას" კარის ცხრიანში, მასპინძლები დააწინაურა. თანაც–

22-ე წუთზე გენუელთა გოლკიპერმა ფაბრიციო ფერონმა ჯორჯ ვეა უკანასკნელი იმედის ჯარიმით დასცა და მსაჯმა წითელი ბარათის ამართვა არ დააყოვნა. ერიქსონმა მეორე მეკარე მატეო სერენი ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირის, ვინჩენცო მონტელას (12 გოლი) ნაცვლად შეიყვანა. რიცხობრივი უპირატესობა მილანელთა იყო.

და მათ წაგება მოახერხეს. ღეიან სავიჩევიჩს, ერთ ეპიზოდში, ხარისხის ნაცვლად კარში რომ დაემიზნებინა, ფრე მაინც იქნებოდა (ანაც ყველაფერი სხვაგვარად განვითარდებოდა).

ანგარიში სინიშა მიხაილოვიჩმა გაათანაბრა. კარგი მეკარისთვის არც მისი დარტყმული ჯარიმის მოგერიება იქნებოდა დიდი პრობლემა, მაგრამ პაგოტომ გაუშვა. გამარჯვების გოლი კი მარკო კარპარელიმ შეაგდო. მარკო კარპარელის ბავშვობისდროინდელი კერპი ბრწყინვალე ჰოლანდიელი მარკო ვან ბასტენი ყოფილა. ჰოდა, მიბაძა პატარამ დიდ სეხნიას, „სან სიროზე" გოლი გაიტანა, ოღონდ იმ კარში არა, დიდს რომ გაჰქონდა ხოლმე. ამ მომენტში, მასპინძელთა დაცვამ ვერ მოაბა თავი ჩვეულებრივი მდგომარეობის განმუხტვას.

კიდევ ერთი, გრიპმოხდილი პაოლო მალდინი პირველსავე ტაიმში შესაცვლელი შეიქნა. მის ნაცვლად საკიმ შვედი იესპერ ბლომკვისტი შეიყვანა. არადა, მალდინი რომ ყოფილიყო, იქნებ მესამე გოლი არც გაეშვათ.

ამრიგად „სამპდორიამ" სეზონში მეორედ დაამხო „სან სირო". პირველად „ინტერს" მოუგო 4:3. მაშინ გადამწყვეტი გოლი, მსაჯის მიერ დამატებულ დროში, მანჩინიმ შეაგდო.

ახლა „სამპდორიას" სტუმრად ჩატარებულ ბოლო შვიდ შეხვედრაში ექვსი გამარჯვება დაუგროვდა და ფრიად მიუახლოვდა „იუვენტუსს", რადგან „ბებერმა ქალბატონმა" სარდინიაზე ქულა დაკარგა.

„კალიარი" — „იუვენტუსის" შეხვედრაში გოლი არ გასულა. ტურინელებმა ვერ გაიტანეს. მაგრამ არც გაუშვეს, მიუხედავად იმისა, რომ რობერტო მუცის წინააღმდეგ წესის დარღვევისთვის 34-ე წუთზე მონტელა გაუძევეს მოედნიდან.

— თითქმის მთელი საათის განმავლობაში ათნი ვიყავით, მაგრამ არ დავნებდით. ჩემი ყველა მოთამაშით კმაყოფილი ვარ — თქვა მატჩის შემდეგ „იუვეს" თავკაცმა მარჩელო ლიპიმ.

სანახავად კი უკბილო, ბევრშეცდომიანი მატჩი გამოვიდა, რომელსაც ტრიბუნიდან მიუნხენის „ბაიერნის" მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი ადევნებდა თვალს.

„რომამ" თავის ოლიმპიურ სტადიონზე „ვიჩენცას" უმასპინძლა. ამ მატჩში შედგა ვლადიკავკაზის „ალანიიდან" იტალიის დედაქალაქის გუნდში გადასული თბილისის „დინამოს" და ოზურგეთის „მერცხალის" ყოფილი მოთამაშის ომარ თეთრაძის დებიუტი სერია A-ში (იტალიის ტელევიზიამ იგი ქართველ ფეხბურთელად გაასაღა). „რომამ" გაიმარჯვა 2:0, ორივე გოლი არგენტინელმა აბელ ბალბომ გაიტანა. ბალბოსთვის ეს შეხვედრა ორნაწილიანი გამოდგა. ერთ ნაწილად დასაწყისი და მეორე ტაიმი უნდა მივიჩნიოთ, მეორედ კი პირველი ტაიმის უმეტესი დრო, როდესაც თავდახვიანებული თეთრ-ბადე-ჩამოცმული დარბოდა მოედანზე. ჩამოფხატულმა ვერა გააწყო, მანამდე და მერე კი ივარგა, მეორე გოლი ჩინებული გაიტანა და სერია A-ში 125 გოლი დაიგროვა, რითაც იტალიაში მოთამაშე უცხოელთა ყველა დროის ბომბარდირი გახდა.

ზემოთ ლამაზი გოლი ვახსენეთ. პარმელი ენრიკო კიეზას მიერ პიაჩენცელთა კარში გატანილი ულამაზესთა კატეგორიას განეკუთვნებოდა. დინო ბაჯოს მარცხენა ფრთაზე გარბენი საჯარიმოს ხაზთან ჩაწოდებით და იქიდან კიეზას შეუჩერებელი დარტყმით დასრულდა. ბურთი ცხრიანში შეფრინდა. ამ შეხვედრაში სხვა გოლი არ გაუტანიათ.

„ინტერმა" „პერუჯას" ჩააკითხა. მილანელთა მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა, გასახდელიდან გასვლისას, ტრიბუნიდან ნასროლი მონეტის სიმწარე იგემა. ისევ გასახდელს მიუბრუნდა და ერთი ხნის შემდეგ თავშეხვეული დაბრუნდა. გოლი კი არ გასულა. ვერც ჯორკაეფმა გაიტანა, როდესაც ბურთი დიდოსტატურად დაამუშავა და დაარტყა, მაგრამ ოდნავ აცილა.

„უდინეზე" — „ლაციო" ჯუზეპე სინიორის თამაში იყო, თუმცა ნაკრების მწვრთნელების მიერ შერისხული ამ დიდებული მოთამაშის ნიჭი, ვგონებთ, ყველა მატჩში ბრწყინავს.



პარმა — პიაჩენცა. მასპინძელი კიეზა სტუმარ დელი კარის გასცდა

„ბოლონიამ" კი თავის მწვრთნელს რენცო ულივიერის 57 წლის თავზე საოცარი საჩუქარი მიუძღვნა — საცოდავ „ვერონას" 6:1 მოუგო.

„რეჯანა" — „ნაპოლიზე" ბევრი არაფერია სათქმელი, გარდა იმისა, რომ ნეაპოლელებმა გოლის გატანისას ჩინებული კომბინაცია გაითამაშეს. საბოლოოდ 1:1.

ფრედ დასრულდა ფლორენციაში გამართული შეხვედრაც. „ფიორენტინამ" „ატალანტას" ვერ მოუგო, არადა შეეძლო — ბატისტუტამ პენალტი ვერ გაიტანა. ამ მატჩში გოლი არ გასულა.

**ბაბუნა ქედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 19 | 10 | 7 | 2 | 26:13 | 37 |
| სამპდორია | 19 | 10 | 5 | 4 | 40:25 | 35 |
| ბოლონია | 19 | 9 | 4 | 6 | 32:23 | 31 |
| ვიჩენცა | 19 | 8 | 6 | 5 | 30:22 | 30 |
| ინტერი | 19 | 7 | 9 | 3 | 26:21 | 30 |
| პარმა | 19 | 8 | 6 | 5 | 19:16 | 30 |
| ატალანტა | 19 | 7 | 7 | 5 | 24:22 | 28 |
| ნაპოლი | 19 | 7 | 7 | 5 | 24:26 | 28 |
| ფიორენტინა | 19 | 6 | 9 | 4 | 27:20 | 27 |
| რომა | 19 | 7 | 6 | 6 | 28:23 | 27 |
| ლაციო | 19 | 7 | 5 | 7 | 22:20 | 26 |
| მილანი | 19 | 7 | 4 | 8 | 27:26 | 25 |
| უდინეზე | 19 | 6 | 5 | 8 | 27:29 | 23 |
| პიაჩენცა | 19 | 4 | 8 | 7 | 16:24 | 20 |
| პერუჯა | 19 | 5 | 4 | 10 | 23:36 | 19 |
| კალიარი | 19 | 3 | 7 | 9 | 20:32 | 16 |
| ვერონა | 19 | 3 | 5 | 11 | 21:38 | 14 |
| რეჯანა | 19 | 1 | 8 | 10 | 16:32 | 11 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ინძაგი (ატალანტა) | 13 |
| ბალბო (რომა) | 13 |
| მანჩინი (სამპდორია) | 13 |
| მონტელა (სამპდორია) | 12 |
| ოტერო (ვიჩენცა) | 11 |
| ჯორკაეფი (ინტერი) | 9 |
| ვეა (მილანი) | 9 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 9 |
| სინიორი (ლაციო) | 9 |
| ლუიზო (პიაჩენცა) | 8 |
| კიეზა (პარმა) | 8 |
| პოჯი (უდინეზე) | 7 |
| პადოვანო (იუვენტუსი) | 7 |

### სერია B

მე-20 ტური. ბრეშია — ბარი 2:0, ჩეზენა — ტორინო 1:1, კრემონეზე — კიევო 0:0, ემპოლი — პადოვა 2:1, ფოჯა — სალერნიტანა 2:0, ლეჩე — რეჯინა 1:2, ლუკეზე — ჯენოა 0:3, პესკარა — პალერმო 2:1, ვენეცია — რავენა 0:0, კოზენცა — დი სანგრო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჩე | 20 | 11 | 5 | 4 | 34:25 | 38 |
| ტორინო | 20 | 10 | 5 | 5 | 31:21 | 35 |
| პესკარა | 20 | 9 | 7 | 4 | 28:18 | 34 |
| ბრეშია | 20 | 9 | 7 | 4 | 23:18 | 34 |
| რავენა | 20 | 8 | 7 | 5 | 23:22 | 31 |
| ემპოლი | 20 | 8 | 6 | 6 | 22:21 | 30 |
| ბარი | 20 | 6 | 11 | 3 | 27:18 | 29 |
| ჯენოა | 20 | 6 | 10 | 4 | 28:16 | 28 |
| ფოჯა | 20 | 7 | 6 | 7 | 21:24 | 27 |
| ლუკეზე | 20 | 5 | 9 | 6 | 16:18 | 24 |
| პადოვა | 20 | 5 | 9 | 6 | 22:26 | 24 |
| კიევო | 20 | 4 | 11 | 5 | 19:20 | 23 |
| რეჯინა | 20 | 5 | 8 | 7 | 20:23 | 23 |
| ვენეცია | 20 | 5 | 7 | 8 | 23:23 | 22 |
| კოზენცა | 20 | 5 | 7 | 8 | 22:27 | 22 |
| სალერნიტანა | 20 | 5 | 6 | 9 | 10:21 | 21 |
| პალერმო | 20 | 3 | 11 | 6 | 20:25 | 20 |
| დი სანგრო | 20 | 5 | 5 | 10 | 11:23 | 20 |
| ჩეზენა | 20 | 3 | 10 | 7 | 16:20 | 19 |
| კრემონეზე | 20 | 4 | 7 | 9 | 12:19 | 19 |

## საბერძნეთი

19-ე ტური. ოფი — ოლიმპიაკოსი 0:1, პანათინაიკოსი — [illegible] 0:2, პანილიაკოსი — ედესაიკოსი 4:0, კავალა — ქსანთი 5:2, იონიკოსი — ათინაიკოსი 0:1, ვერია — კალამატა 1:0, არისი — პანახაიკი 0:0. ირაკლისი — პაოკი და კასტორია — აეკი წუხელ გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 19 | 14 | 3 | 2 | 30:8 | 45 |
| აეკ | 18 | 12 | 3 | 3 | 39:15 | 39 |
| პანათინაიკოსი | 19 | 12 | 3 | 4 | 36:12 | 39 |
| ოფი | 19 | 10 | 4 | 5 | 26:17 | 34 |
| პანილიაკოსი | 19 | 9 | 3 | 7 | 26:22 | 30 |
| ვერიაა | 19 | 8 | 4 | 7 | 21:14 | 28 |
| კავალა | 19 | 8 | 4 | 7 | 22:18 | 28 |
| იონიკოსი | 19 | 8 | 3 | 8 | 20:21 | 27 |
| პაოკ | 18 | 6 | 8 | 4 | 16:15 | 26 |
| პანახაიკი | 19 | 6 | 7 | 6 | 19:20 | 25 |
| კალამატა | 19 | 6 | 7 | 6 | 24:27 | 25 |
| ათინაიკოსი | 19 | 6 | 4 | 9 | 20:32 | 22 |
| აპოლონი | 19 | 6 | 3 | 10 | 20:25 | 21 |
| ირაკლისი | 18 | 5 | 4 | 9 | 17:29 | 19 |
| არისი | 19 | 4 | 7 | 8 | 16:30 | 19 |
| ქსანთი | 19 | 4 | 6 | 9 | 20:30 | 18 |
| ედესაიკოსი | 19 | 4 | 4 | 11 | 22:33 | 16 |
| კასტორია | 18 | 1 | 3 | 14 | 10:36 | 6 |

## ბელგია

21-ე ტური. ბრიუგე — გენკი 2:1, მუსკრონი — სერკლ ბრიუგე 1:1, აალსტი — გენტი 1:0, ეკერენი — სენტ ტრიუდენი 3:1, მოლენბეკი — სტანდარდი 1:1, ლოკერენი — ანდერლეხტი 0:1, ლომელი — ანტვერპენი 1:0, მეხელენი — ჰარელბეკი 2:1, შარლერუა — ლიერსი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მუსკრონი | 21 | 12 | 7 | 2 | 38:18 | 43 |
| ბრიუგე | 21 | 12 | 4 | 5 | 41:26 | 40 |
| ლიერსი | 21 | 10 | 9 | 2 | 34:20 | 39 |
| ჰარელბეკი | 21 | 11 | 4 | 6 | 36:23 | 37 |
| ანდერლეხტი | 20 | 9 | 8 | 3 | 31:14 | 35 |
| სტანდარდი | 21 | 11 | 2 | 8 | 36:28 | 35 |
| ანტვერპენი | 21 | 11 | 2 | 8 | 33:31 | 35 |
| ლომელი | 20 | 9 | 5 | 6 | 30:31 | 32 |
| გენკი | 21 | 6 | 8 | 7 | 25:27 | 26 |
| მოლენბეკი | 21 | 7 | 5 | 9 | 23:28 | 26 |
| გენტი | 21 | 7 | 4 | 10 | 32:39 | 25 |
| ლოკერენი | 21 | 6 | 6 | 9 | 30:34 | 24 |
| შარლერუა | 21 | 6 | 5 | 10 | 26:30 | 23 |
| მეხელენი | 21 | 5 | 8 | 8 | 22:30 | 23 |
| ეკერენი | 21 | 5 | 5 | 11 | 25:35 | 20 |
| აალსტი | 21 | 4 | 8 | 9 | 26:37 | 20 |
| სტ. ტრიუდენი | 21 | 4 | 6 | 11 | 28:43 | 18 |
| სერკლ ბრიუგე | 21 | 2 | 6 | 13 | 23:45 | 12 |

## პორტუგალია

მე-18 ტური: ბოავიშტა — ბელენენსეში 1:1, შავეში — მარიტიმუ 2:1, ლეირია — ლეცა 1:1, სალგეირუში — რიუ ავე 1:3, ჟილ ვისენტე — გიმარაეში 1:1, ამადორა — ფარენსე 2:1, სპორტინგი — ესპინიუ 4:0, ბრაგა — ბენფიკა 1:1, სეტუბალი — პორტუ 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 18 | 16 | 2 | 0 | 44:8 | 50 |
| სპორტინგი | 18 | 11 | 4 | 3 | 29:10 | 37 |
| ბენფიკა | 18 | 10 | 4 | 4 | 32:12 | 34 |
| ამადორა | 18 | 8 | 5 | 5 | 23:17 | 29 |
| შავეში | 18 | 7 | 6 | 5 | 20:22 | 27 |
| ბრაგა | 18 | 7 | 6 | 5 | 22:27 | 27 |
| ესპინიუ | 18 | 8 | 3 | 7 | 19:24 | 27 |
| გიმარაეში | 18 | 7 | 4 | 7 | 25:24 | 25 |
| სეტუბალი | 18 | 6 | 7 | 5 | 23:22 | 25 |
| სალგეირუში | 18 | 5 | 7 | 6 | 23:27 | 22 |
| ფარენსე | 18 | 5 | 6 | 7 | 15:18 | 21 |
| ბელენენსეში | 18 | 5 | 6 | 7 | 23:32 | 21 |
| ბოავიშტა | 18 | 4 | 8 | 6 | 25:25 | 20 |
| ლეცა | 18 | 5 | 5 | 8 | 20:23 | 20 |
| მარიტიმუ | 18 | 5 | 5 | 8 | 20:28 | 20 |
| ლეირია | 18 | 4 | 4 | 10 | 13:27 | 16 |
| რიუ ავე | 18 | 2 | 4 | 12 | 18:31 | 10 |
| ჟილ ვისენტე | 18 | 2 | 4 | 12 | 17:34 | 10 |

## შოტლანდია

25-ე ტური. აბერდინი — კილმარნოკი 2:1, დანდი იუნაიტედი — სელტიკი 1:0, დანფერმლაინი — მოზერველი 3:1, ჰიბერნიანი — რეით როვერსი 1:1, რეინჯერსი — ჰარტსი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 25 | 19 | 4 | 2 | 63:21 | 61 |
| სელტიკი | 24 | 16 | 3 | 5 | 60:25 | 51 |
| დანდი იუნ. | 25 | 12 | 6 | 7 | 34:21 | 42 |
| ჰარტსი | 25 | 9 | 7 | 9 | 35:35 | 34 |
| აბერდინი | 25 | 9 | 7 | 9 | 36:39 | 34 |
| დანფერმლაინი | 24 | 9 | 5 | 10 | 38:47 | 32 |
| კილმარნოკი | 24 | 7 | 3 | 14 | 29:46 | 24 |
| ჰიბერნიანი | 25 | 6 | 6 | 13 | 26:43 | 24 |
| მოზერველი | 24 | 5 | 6 | 13 | 24:45 | 21 |
| რეით როვერსი | 25 | 5 | 5 | 15 | 21:44 | 20 |

# უნდა მოგვეგო, «ბარსა»

## ესპანეთი

XXII ტური

**კომპოსტელა 1:1 ტენერიფე**

0:1 პინილია (14), 1:1 ბელიდო (19)

**ლოგრონიესი 1:2 სარაგოსა**

0:1 არაგონი (51), 1:1 ხოხა (87), 1:2 პოიეტი (90)

**სევილია 2:3 სოსიედადი**

1:0 ბალეხტერი (1), 1:1 ხავიგარხია (3), 2:1 ბალეხტერი (52), 2:2 ადეპოჟუ (86), 2:3 დეპედრო (90)

**ვალენსია 1:1 რასინგი**

1:0 ენგონგა (83პ), 1:1 ალონსო (85)

**სპორტინგი 4:3 ესპანიოლი**

0:1 ბენიტეხი (13), 1:1 ვილაროია (26), 2:1 ლედიახოვი (42პ), 3:1 ლუნა (57), 4:1 კანო (62), 4:2 რადუჩიოუ (69), 4:3 რადუჩიოუ (78პ)

**ბარსელონა 2:2 ოვიედო**

1:0 პიცი (60), 2:0 რონალდო (68), 2:1 ოლი (75), 2:2 ოლი (90)

**ვალიადოლიდი 4:0 ვალეკანო**

1:0 ხანჩეხი (17), 2:0 ფერნანდეხი (34), 3:0 კევედო (68), 4:0 ფერნანდეხი (81)

**ბილბაო 0:3 ბეტისი**

0:1 ალფონსო (5), 0:2 ოლიახი (25), კოვალჩიკი (72)

**რეალი 3:2 დეპორტივო**

0:1 კონხეიხაო (17), 1:1 პანუჩი (19), 1:2 მარტინი (52), 2:2 იერო (53), 3:2 შუკერი (67)

**სელტა 1:1 ატლეტიკო**

1:0 რატკოვიჩი (61), 1:1 პროდანი (80)

ბობი რობსონს ხოსე ლუის ნუნიესთან სერიოზული საუბარი მოუხდა, თუმცა ჟურნალისტებს ამის თაობაზე არაფერი უთხრა. „ნოუ კამპი" მორიგმა მძვინვარებამ შეძრა. „ბარსა" 2:0-ს იგებდა, მაგრამ ბოლო 15 წუთში ორი გაუშვა და ორი ქულა დაკარგა. გუნდს, საჩემპიონო მარათონში რომაა ჩართული, ასეთი რამ არ უნდა მოსვლოდა.

— ორჯერ დავტოვეთ ოლი უმეთვალყურეოდ და გავატანინეთ... 90 წუთის განმავლობაში მეტოქეს უდავოდ ვჯობდით, ორი ქულა კი დავკარგეთ. ეს სულელური შედეგია — თქვა რობსონმა.

წესი წესია. ხუან პიცი შეცვლაზე შედის და გააქვს. ასე იყო ამჯერადაც. შემდეგ, რონალდომ სეზონში თავისი მე-19 გოლი გაიტანა და თითქოს ყველაფერს ნათელი მოჰფინა, მაგრამ ოლი სხვაგვარად ფიქრობდა.

„რეალი" კი კაპელოს გუნდია, ხოლო კაპელო ის კაცია, ფეხი რომ არ უცდება. რაღაცამ ხელი შეგვიშალა, ბედმა არ გაგვიღიმა და სხვა ამგვარი სიტყვები ყველას შეიძლება წამოსცდეს, მაგრამ კაპელოს არა. შედეგი ყოველთვის მისია. ახლაც, ორჯერ იგებდა ტოშაკის „დეპორტივო", მაგრამ ბოლოს ტაბლოზე „რეალის" გამარჯვება დაფიქსირდა.

ანგარიში დეპორტივოელმა ფლავიო კონსეისაომ გახსნა. რივალდოს პასით მან მადრიდელთა გოლკიპერს ბოდო ილგნერს შანსი არ დაუტოვა. ცოტა ხანში „რეალში" „მილანიდან" გადასულმა კრისტიან პანუჩიმ გაქვითა, თუმცა გაჩნდა ეჭვი, რომ სანამ პანუჩი დაარტყამდა, რობერტო კარლოსის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულმა ბურთმა ხაზი გადაკვეთა. არ შეეპუა სტუმართა გუნდი და ცოტა ხანში ფრანგი კორენტინ მარტინის გოლით დაწინაურდა, სანამ ფერნანდო იერო ჯარიმას დაარტყამდა. ბოლოს, 67-ზე ზეაქტიურმა რობერტო კარლოსმა რაულს გადააწოდა, რაულმა თავით შუკერს გადაუგდო ბურთი, ხოლო შუკერმა ზუსტად, შიგნიდან მიაწოდა „დეპორტივოს" კარის ბადეს.

მატჩის შემდეგ „რეალის" პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა განაცხადა: ამ სეზონში „დეპორტივოზე" ძლიერი გუნდი „სანტიაგო ბერნაბეუზე" არ ჩამოსულაო. ცხადია, ეს „ბარსას" გასაგონად იყო ნათქვამი.

ჩემპიონმა მადრიდის „ატლეტიკომ" კი „სელტას" ვერ მოუგო. ანგარიში მილორად რატკოვიჩმა გახსნა, მაგრამ რუმინელმა დანიელ პროდანმა გაათანაბრა, თუმცა მალე უხეშობისთვის გააძევეს კიდეც მოედნიდან. ამ შეხვედრაში გაძევება სხვაც იყო: „სელტას" მწვრთნელი ფერნანდო კასტრო კამათისა და ლანძღვისთვის დაითხოვეს სკამიდან.

შემდეგ ტურში „რეალი" „ბეტისს" შეხვდება, „ბეტისმა" კი ამ ჯერზე ბასკთა „ატლეტიკს" აჯობა 3:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 22 | 15 | 7 | 0 | 46:16 | 52 |
| ბარსელონა | 22 | 14 | 5 | 3 | 62:28 | 47 |
| ბეტისი | 21 | 12 | 6 | 3 | 45:20 | 42 |
| სოსიედადი | 22 | 12 | 4 | 6 | 33:25 | 40 |
| დეპორტივო | 22 | 10 | 9 | 3 | 30:16 | 39 |
| ატლეტიკო | 21 | 10 | 6 | 5 | 40:28 | 36 |
| ვალიადოლიდი | 22 | 9 | 6 | 7 | 29:25 | 33 |
| ბილბაო | 22 | 8 | 8 | 6 | 38:31 | 32 |
| რასინგი | 22 | 7 | 10 | 5 | 23:22 | 31 |
| ტენერიფე | 21 | 8 | 6 | 7 | 35:23 | 30 |
| ვალენსია | 22 | 8 | 5 | 9 | 30:29 | 29 |
| ოვიედო | 22 | 7 | 6 | 9 | 28:29 | 27 |
| სპორტინგი | 21 | 6 | 7 | 8 | 23:29 | 25 |
| სელტა | 22 | 6 | 7 | 9 | 22:29 | 25 |
| კომპოსტელა | 22 | 6 | 6 | 10 | 21:38 | 24 |
| ესპანიოლი | 22 | 6 | 5 | 11 | 26:33 | 23 |
| რაიო | 21 | 6 | 5 | 10 | 23:32 | 23 |
| ლოგრონიესი | 22 | 6 | 3 | 13 | 17:46 | 21 |
| სევილია | 21 | 5 | 3 | 13 | 17:31 | 18 |
| სარაგოსა | 22 | 3 | 9 | 10 | 23:38 | 18 |
| ერკულესი | 21 | 5 | 3 | 13 | 19:40 | 18 |
| ესტრემადურა | 21 | 3 | 6 | 12 | 13:35 | 15 |

# ეჰ, «სენ ჟერმენ»

## საფრანგეთი

XXV ტური

**პარი სენ ჟერმენი 1:1 კანი**

**ლილი 0:0 ბორდო**

**ნიცა 0:0 მარსელი**

**რენი 1:1 კაენი**

0:1 ბაიკუშა (12), 1:1 ჟარი (66)

**ოსერი 1:0 ნანსი**

1:0 ლახლანდი (90)

**მეცი 0:1 ნანტი**

0:1 გურვენეკი (46)

**ლანსი 2:1 გინგამი**

1:0 კამარა (9), 2:0 კამარა (58), 2:1 ორლავილი (90)

**ლე ავრი 0:0 მონპელიე**

**ლიონი 3:3 მონაკო**

0:1 ანდერსონი (8), 1:1 გავა (18), 2:1 კოკარდი (60), 2:2 ბენარიბა (67), 3:2 ჟილი (69), 3:3 ბენარიბა (71)

**ბასტია 3:1 სტრასბური**

„პარი სენ ჟერმენის" მორიგმა ფრემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი გუნდის კრიზისს. თასების თასის მფლობელს 29 ნოემბრის მერე არ მოუგია. „პარკ დე პრენსის" მაყურებელი შეუმცირდა და ვინც სტადიონზე მაინც მიდის, თავის დამოკიდებულებას სტვენით გამოხატავს.

ანგარიში დეკემბერში ჟენევის „სერვეტისგან" ნაყიდმა სირილ პოჟემ გახსნა, მაგრამ პარიზელებს მოგება არ ეწერათ. შეტევა და ინიციატივა კი ბატონო, მაგრამ არსებობს კონტრშეტევაც, რომლის მსხვერპლნიც შეიქნენ. ლორენ შარვეს დარტყმა ბერნარ ლამამ მოიგერია მაგრამ სედრიკ დურიმ დაამატა და გაქვითა.

„ლიონ" — „მონაკოს" შეხვედრაში თავი ნახევარმცველმა ალი ბენარიბამ გამოიჩინა. მე-8 წუთზე სილვინ ლიგვინსკის პასით ბრაზილიელმა ანდერსონმა გახსნა ანგარიში, მაგრამ ათ წუთში კრისტოფ კოკარდის პასით ფრანკ გავამ თაურით გაქვითა. კოკარდმა მალე თავისიანები დააწინაურა, მაგრამ ახლა ბენარიბამ გაქვითა. შემდეგ ლუდოვიკ ჟილიმ სეზონში თავისი მერვე გოლი შეაგდო და ისევ „ლიონი" გაიყვანა წინ, მაგრამ ბენარიბამ იმ დღეს გათანაბრების დიდი ნიჭი გამოიჩინა. 55-ე წუთზე ანგარიში 1:1 რომ იყო, „მონაკოს" კაპიტანმა ფრანკ დუმამ სეზონში თავისი მეორე წითელი ბარათი მიიღო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 25 | 15 | 7 | 3 | 45:20 | 52 |
| პსჟ | 25 | 12 | 9 | 4 | 36:19 | 45 |
| ბასტია | 25 | 13 | 6 | 6 | 36:26 | 45 |
| ოსერი | 25 | 11 | 8 | 6 | 32:19 | 41 |
| ბორდო | 25 | 11 | 8 | 6 | 37:27 | 41 |
| სტრასბური | 25 | 13 | 1 | 11 | 32:33 | 40 |
| მეცი | 25 | 10 | 9 | 6 | 28:22 | 39 |
| ნანტი | 25 | 9 | 11 | 15 | 44:26 | 38 |
| მარსელი | 25 | 8 | 10 | 7 | 25:22 | 34 |
| ლიონი | 25 | 8 | 9 | 8 | 34:39 | 33 |
| გინგამი | 25 | 8 | 8 | 9 | 20:22 | 32 |
| რენი | 25 | 9 | 5 | 11 | 30:36 | 32 |
| კანი | 25 | 7 | 9 | 9 | 16:24 | 30 |
| ლილი | 25 | 7 | 9 | 9 | 24:34 | 30 |
| ლანსი | 25 | 8 | 5 | 12 | 28:39 | 29 |
| ლე ავრი | 25 | 6 | 9 | 10 | 24:29 | 27 |
| მონპელიე | 25 | 5 | 11 | 9 | 21:27 | 26 |
| კაენი | 25 | 4 | 9 | 12 | 21:32 | 21 |
| ნანსი | 25 | 4 | 7 | 14 | 21:34 | 19 |
| ნიცა | 25 | 4 | 6 | 15 | 20:44 | 18 |

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ნაკრების რეინჯერსელი წევრი სტიუარტ მაკკოლი სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. იგი „აიაქსთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში დაშავდა, იმკურნალა, თუმცა დაბრუნება ჯერჯერობით შეუძლებელი ჩანს.

**ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲘᲡ ნაკრებისა და „მიდლსბროს" ფორვარდმა იან აგე ფიორტოფტმა ხელი მოაწერა კონტრაქტს ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „შეფილდ იუნაიტედთან", რომელსაც მისი შეძენა 1 100 000 დოლარი დაუჯდა. ახალ კლუბში პირველი მატჩი ფიორტოფტმა, შესაძლოა, „სვინდონის" წინააღმდეგ ითამაშოს. სხვათა შორის, ნორვეგიელმა ალბიონზე თამაში სწორედ „სვინდონში" დაიწყო.**

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის, მიუნხენის „ბაიერნის" მენეჯერმა ული ჰიონესმა განაცხადა, რომ სურთ მწვრთნელ ტრაპატონის კონტრაქტი 2000 წლამდე გაუგრძელონ. „მალე ბეკენბაუერი და რუმენიგე ჩამოვლენ. ყველანი ერთად დავსხდებით და კონტრაქტის პირობებზეც მოვილაპარაკებთ" — განაცხადა ჰიონესმა.

**ᲚᲘᲑᲐᲜᲨᲘ, კერძოდ, ბეირუთში გაიმართა ამხანაგური მატჩი, რომელშიც მასპინძლებმა ჯამალ ტაპას მიერ მე-12 წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხეს იორდანია. ისინი პარასკევსაც შეხვდებიან ერთმანეთს.**

## თურქეთი

**მე-20 ტური. ალთაი — ფენერბაჰჩე 0:0; ბეშიქთაში — ტრაბზონი 3:0; დენიზლი — გენჩლერბირლიგი 3:3; გაზიანთეფი — ხარიერი 2:1; ანკარაგიუჯიუ — ისთანბული 0:0; დარდანელი — სამსუნი 0:0; ანთალია — ბურსა 0:1; ზეითუნბურნუ — ვანსფორი 2:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 19 | 14 | 4 | 1 | 51:16 | 46 |
| ფენერბაჰჩე | 20 | 13 | 5 | 2 | 38:11 | 44 |
| ბეშიქთაში | 20 | 12 | 6 | 2 | 48:14 | 42 |
| ტრაბზონი | 20 | 13 | 3 | 4 | 34:20 | 42 |
| გაზიანთეფი | 20 | 10 | 6 | 4 | 23:17 | 36 |
| ბურსა | 20 | 10 | 5 | 5 | 30:19 | 35 |
| ქოჯაელი | 19 | 8 | 5 | 6 | 22:19 | 29 |
| გენჩლერბირ. | 20 | 8 | 4 | 8 | 24:24 | 28 |
| სარიერი | 20 | 8 | 3 | 9 | 32:28 | 27 |
| სამსუნი | 20 | 6 | 6 | 8 | 23:32 | 24 |
| ანთალია | 20 | 6 | 5 | 9 | 23:27 | 23 |
| ისთანბული | 20 | 6 | 5 | 9 | 22:28 | 23 |
| ანკარაგიუჯიუ | 20 | 6 | 4 | 10 | 21:29 | 22 |
| ალთაი | 20 | 5 | 6 | 9 | 18:36 | 21 |
| დარდანელი | 20 | 4 | 5 | 11 | 16:36 | 17 |
| ვანი | 20 | 3 | 5 | 12 | 15:33 | 14 |
| დენიზლი | 20 | 3 | 3 | 14 | 21:41 | 12 |
| ზეითუნბურნუ | 20 | 2 | 4 | 14 | 17:48 | 10 |

## ფეხბურთის რუკასთან



ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში უმასპინძლა აშშ-ს ნაკრებს. პირველი გოლი ალექს ლალასმა გაიტანა 24-ე წუთზე. ამერიკელები რვა წუთს იყვნენ წინ, მერე კი სუ მაოძენმა გაათანაბრა. მატჩის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე ლალასი გააძევეს.

**ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲛᲐ პელემ განაცხადა, რომ ფიფას პრეზიდენტობის ყველაზე რეალურ კანდიდატად გერმანელ ფრანც ბეკენბაუერს მიიჩნევს: „ფრანცმა ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს. ეს ფეხბურთსაც და მის ბრწყინვალე კარიერასაც სასიკეთოდ წაადგება." ბეკენბაუერს ხშირად ახსენებენ მათ შორის, ვინც ფიფას პრეზიდენტობის კანდიდატად ეგულებათ.**

ᲜᲘᲒᲔᲠᲘᲘᲡ ფეხბურთის ასოციაციის ტექნიკური კომიტეტის თითქმის ნახევარი თანამდებობიდან გადადგა. კომიტეტის თავმჯდომარემ ადეგბოი ონიგბინდემ განაცხადა, რომ მათი წასვლა გამოიწვია არაკომპეტენტური ხალხის საფეხბურთო საქმიანობაში ჩარევამ. მისივე თქმით, ბოლო დროს მათ მუშაობის ყველანაირი სურვილი დაეკარგათ და ვალის მოსახდელად ყოფნას ისევ წასვლა ამჯობინეს. ტექნიკური კომიტეტის 15 წევრიდან ცხრა უკვე წავიდა.

**ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა „ბეშიქთაშმა" სასამართლოში უჩივლა არბიტრ მეთინ თოკათს. კლუბის ადვოკატმა თოკერმა განაცხადა, რომ მსაჯი უსამართლოდ მოიქცა, როცა „ვანსფორთან" მატჩში ნაღდი პენალტი არ დანიშნა. იმ შეხვედრაში თოკათმა წესის ეს. რღვევა კი დააფიქსირა, მაგრამ საჯარიმოს გარეთ და „ბეშიქთაშს" პენალტის ნაცვლად ჯარიმა დაარტყმევინა. თოკერმა სასამართლოს არბიტრისთვის სამწლიანი დისკვალიფიკაციის მისჯა მოსთხოვა.**

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ გადააყენეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი სოლომონ მორევა. ალმასკომის თავმჯდომარემ დენი ჯორდანმა განაცხადა, რომ მისი გადაყენების მიზეზებს საზოგადოებას უახლოეს ხანში აცნობებენ. მორევას გადაყენებამდე ცოტა ხნით ადრე ცნობილი გახდა მისი კავშირების შესახებ საეჭვო რეპუტაციის მქონე პიროვნებებთან, რამაც გარკვეულად შეარყია მისი ავტორიტეტი.

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲛ ორი წლის წინ სურვილი გამოთქვა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე. მოგვიანებით იგივე მოისურვა ინგლისმაც. ახლახან უეფას წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაში პრიორიტეტს გერმანიას ანიჭებენ. ამ გადაწყვეტილებამ საკმაოდ გაანაწყენა ინგლისელები და მათ საგანგებო პრეს-კონფერენციაც კი მოაწყვეს. ნაკრების მთავარი მწვრთნელის გლენ ჰოდლის თქმით, „დღესდღეობით თითქმის ყველა საუკეთესო მოთამაშე ინგლისში თამაშობს, ჩვენთან საუკეთესო მოედნებია და ევრო-96-მაც დაამტკიცა, რომ შეგვიძლია დიდი ტურნირების მაღალ დონეზე მასპინძლობა. 2006 წელს 40 წელი შესრულდება ინგლისში მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვიდან. საინტერესოა, კიდევ რამდენი ხანი უნდა იცადოს ფეხბურთის სამშობლომ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მიიღოს?" ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა დევიდ დევისმა განაცხადა, რომ მიუხედავად უეფას გადაწყვეტილებისა, მთელი ინგლისი იბრძოლებს, რათა მასპინძლობის უფლება ღირსეულად ერგოს: „ვფიქრობ, უეფა აჩქარდა ამ გადაწყვეტილების მიღებისას. ორი წლის წინ მასპინძლობის სურვილი გერმანიამ გამოთქვა, შემდეგ ჩვენ შევიტანეთ განაცხადი, არ არის გამორიცხული, განაცხადების შეტანის ვადის ამოწურვამდე სხვა ქვეყნებმაც გამოთქვან მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი."**

უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ამ ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ეწვევა ინგლისს სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლად და განსახილველად, ბოლოს კი საკმაოდ ორაზროვნად დასძინა, 2006 წლამდე დიდი დროაო.


# ბავშვთა კვება Gerber

## ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

### ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა

**Gerber** კომპანია გერბერის პროდუქციაში არ გამოიყენება არანაირი ქიმიური კონსერვანტი

**Gerber** 1928 წლიდან მოყოლებული კომპანია გერბერმა დაამზადა 60 მილიარდამდე საკვები პროდუქტის შესაფუთი და არ ყოფილა პროდუქტის მიკრობიოლოგიური დაბინძურების არცერთი შემთხვევა. შესაბამისად — პროდუქტის თერმოგადამუშავებასთან დაკავშირებული მოწამვლის არცერთი ფაქტი.

**Gerber** ამერიკის ზრდასრული მოსახლეობის ნახევარზე მეტი თავის დროზე „გერბერის ჩვილი" იყო.

ფირმა გერბერი 1928 წლიდან უზრუნველყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ბავშვთა უმრავლესობისა და მილიონობით პატარის კვებას მთელ მსოფლიოში.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ევროპის სუპერთასი.** საპასუხო მატჩი
5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| იუვენტუსი — პარი სენ ჟერმენი | 1,4 | 3,2 | 6,0 |

**ესპანეთის თასი.** მერვედფინალი. საპასუხო მატჩები
4-6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეალი — ბარსელონა | 1,8 | 2,6 | 4,0 |
| ვალენსია — ლას პალმასი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| სელტა — ლერიდა | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ბეტისი — ტენერიფე | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ბილბაო — რასინგი | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| ესპანიოლი — დეპორტივო | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| კომპოსტელა — ატლეტიკო | 2,8 | 2,8 | 2,1 |
| ესტრემადურა — რაიო ვალეკანო | 2,0 | 2,9 | 2,9 |

**ინგლისის თასი.** მეოთხე წრე
5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| მანჩესტერ სიტი — უოტფორდი | 1,2 | 4,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |

### ფსონები ევროპის ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში გამარჯვებაზე

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,5 |
| დორტმუნდი | 2,5 |
| ლევერკუზენი | 5,0 |
| შტუტგარტი | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ლივერპული | 2,3 |
| მანჩესტერ იუნაიტედი | 2,5 |
| არსენალი | 3,5 |
| ნიუკასლი | 3,5 |
| დანარჩენი | 10,0 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ბრიუგე | 1,7 |
| მუსკრონი | 2,5 |
| ანდერლეხტი | 3,5 |
| სტანდარდი | 6,0 |
| ლიერსი | 6,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 1,8 |
| რეალი | 1,8 |
| დანარჩენი | 10,0 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ეინდჰოვენი | 1,15 |
| ფეიენოორდი | 3,8 |
| აიაქსი | 8,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| პორტუ | — |
| ბენფიკა | 9,0 |
| სპორტინგი | 9,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გალათასარაი | 1,8 |
| ფენერბაჩე | 2,5 |
| ტრაბზონსპორი | 4,0 |
| ბეშიქთაში | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,4 |
| პარი სენ ჟერმენი | 2,5 |
| ბორდო | 7,0 |
| ნანტი | 7,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 1,3 |
| ინტერი | 4,0 |
| სამპდორია | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ქსამაქსი | 1,7 |
| გრასჰოპერი | 2,5 |
| სიონი | 7,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| რაპიდი | 1,25 |
| ზალცბურგი | 3,1 |
| ტიროლი | 5,0 |
| აუსტრია | 8,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი | 1,1 |
| სელტიკი | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

### ფსონები ევროპის საკლუბო ტურნირებში გამარჯვებაზე

UEFA CHAMPIONS LEAGUE — UEFA Cup Winners' Cup — UEFA CUP

**ჩემპიონთა თასი**

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 2,5 |
| მანჩესტერი | 4,5 |
| დორტმუნდი | 4,5 |
| აიაქსი | 5,5 |
| პორტუ | 6,0 |
| ატლეტიკო | 7,0 |
| ოსერი | 10,0 |
| რუსენბორგი | 50,0 |

**თასების თასი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 2,5 |
| ლივერპული | 2,5 |
| პარი სენ-ჟერმენი | 4,0 |
| ფიორენტინა | 4,0 |
| ბენფიკა | 7,0 |
| აეკი | 10,0 |
| აიკი | 50,0 |
| ბრანი | 50,0 |

**უეფას თასი**

| | |
|---|---|
| ინტერი | 2,5 |
| ნიუკასლი | 2,5 |
| ვალენსია | 5,0 |
| მონაკო | 5,0 |
| ტენერიფე | 6,0 |
| შალკე | 8,0 |
| ანდერლეხტი | 10,0 |
| ბრონდბიუ | 15,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

ჰოკეი

# დათვები იღვიძებენ

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**31 იანვარი.** ბუფალო — დალასი 3:1, ნიუ ჯერზი — ტორონტო 3:3, ედმონტონი — აილენდერზი 0:1, ანაჰაიმი — ჰართფორდი 6:3.

**1 თებერვალი.** პიტსბურგი — ფინიქსი 4:1, მონრეალი — ნიუ ჯერზი 4:4, ფილადელფია — რეინჯერზი 2:4, ტამპა — ბოსტონი 0:3, ფლორიდა — ვაშინგტონი 1:3, ტორონტო — ოტავა 1:2, სენტ ლუისი — დეტროიტი 1:4, კალგარი — ვანკუვერი 3:0, სან ხოსე — კოლორადო 2:1, ლოს ანჯელესი — ჩიკაგო 2:3.

**2 თებერვალი.** ბუფალო — ვაშინგტონი 2:2, რეინჯერზი — ბოსტონი 2:3, დეტროიტი — დალასი 4:3, ანაჰაიმი — კოლორადო 2:5.

უქმეებზე გამართული მატჩებიდან უმთავრესი ფილადელფია — რეინჯერზი იყო. შეხვედრისადმი ინტერესს ორი თაობის სუპერვარსკვლავების — ფილადელფიელი ლინდროსის და ნიუ იორკელების მესიესა და გრეცკის პაექრობაც ზრდიდა. ამჯერად ბებრებმა ტოლი არ დაუდეს ჯეელებს, მესიემ (28) გამარჯვების შაიბა შეაგდო, ნემჩინოვმა კი წერტილი დაუსვა ყველაფერს. უნდა ითქვას, რომ „მფრინავებმა" სამჯერ მეტად შეუტიეს სტუმართა კარს (41-15), მაგრამ სულ ამაოდ.

კვირას თავად რეინჯერზმა იწვნია დამარცხების სიმწარე. ბოსტონელმა „დათვებმა", რომელთაც უკან დასახევი გზა არ დარჩენიათ, პირველივე პერიოდში სამჯერ აიღეს ჰილის კარი. ამას ვორობიოვმა და მესიემ ორჯერ უპასუხეს.

ბოსტონის არ იყოს, ორი გამარჯვება ჩაიწერა დეტროიტმა. მისი მეტოქეები დივიზიონში უშუალო კონკურენტები — სენტ ლუისი და დალასი იყვნენ. პირველ შეხვედრაში ყურადღება შენაჰანი — ჰალის დუელისკენ იყო მიპყრობილი. შენაჰანმა (2+0, 28) 2:1 აჯობა ყოფილ პარტნიორს, გადამწყვეტი გოლი კი უმცირესობაში გაიტანა.

დალასთან მოგება დეტროიტის პირველი წარმატებაა საკუთარ მოედანზე ახალი წლის შემდეგ. ეს ორი ქულა „ფრთებს" კლუბის შემადგენლობაში კვლავ დაბრუნებულმა კოზლოვმა (2+1) მოუტანა ოვერტაიმში. პასი კი პიტსბურგიდან ახლახან გადაყვანილმა სანდსტრიომმა გაუკეთა. ჯონსონში გაცვლილი სანდსტრიომი კლუბის მეოთხე შვედია, მაგრამ შვედებს რაოდენობით რუსები სჯობნიან — ისინი ხუთნი არიან. დალასელმა ახალბედა ლანგენბრიუნერმა სამივე გოლში (0+3) მიიღო მონაწილეობა. დეტროიტმა ოდნავ შეამცირა სხვაობა დივიზიონის ლიდერთან, რაკი პარასკევს დალასმა ბუფალოსთანაც წააგო. აღნიშვნის ღირსია, რომ დალასელებმა მანამდე გამართული ოთხივე შეხვედრიდან ოთხივე მოიგეს და ოცი შაიბა შეაგდეს.

სან ხოსელი ნოლანი თავისი გუნდის სენსაციური გამარჯვების სულისჩამდგმელი გახდა. მან ჯერ ანგარიში გახსნა, შემდეგ კი ფრიზენს მიაწოდა და ერთგვარად მიუზღო სამაგიერო თავის ყოფილ კლუბს — კოლორადოს.

კოლორადომ მეორე კალიფორნიული კლუბი — ანაჰაიმი კი დაჯაბნა, მაგრამ იოლად არ გაუმარჯვია. მხოლოდ მესამე პერიოდში შეძლო „ეველანშმა" გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება ლედმარშის (1+1, 22) და ჯოუნსის (1+2) თავგამოდებით.

რაც შეეხება ანაჰაიმს, აქ ისევ რუჩინის სამეული ბრწყინავს. ჩემპიონატის ლიდერს კარიამ (22) ერთი შაიბა შეუგდო, ჰართფორდთან კი ამ ტრიომ 5 გოლი მოაწყო. სელიანემ 4 (1+3) ქულა ჩაიწერა და ბომბარდირთა სიის მესამე ადგილიდან გრეცკი განდევნა. ორივეს 68 ქულა აქვს, ოღონდ ფინელმა 29 შაიბა შეაგდო, გრეცკიმ კი — 16.

პირველ ორ პოზიციაზე კი ისევ და ისევ პიტსბურგის დუეტია. ბრწყინვალე მარიომ კიდევ ორი შაიბა (სულ — 36) მიითვალა და მორიგი ორი ქულა მოუტანა გუნდს, მისმა ახალმა პარტნიორმა ჯონსონმა კი პირველი ქულა დააგროვა პიტსბურგში.

ჩიკაგოში ახალგადასულმა დალენმა გუნდს ზედიზედ მეორე გამარჯვება მოუტანა. ლოს ანჯელესში „ქორები" 0:2 აგებდნენ, მაგრამ ვეტერანმა სავარმა და ახალბედა ბლექმა გაათანაბრეს. დალენმა კი გადამწყვეტი შაიბა შეაგდო და ბოლო ხანს მრავჯნებულ და ხელმოცარულ თანაკლუბელებს გარკვეული იმედები ჩაუსახა.

ჩიკაგოს თანადივიზიონელ ტორონტოს კი, როგორც ჩანს, ველარაფერი უშველის. ნიუ ჯერზისთან ძლივს გახერხებული ფრეს შემდეგ, რომელიც კლუბის პირველი ფრე იყო ამ სეზონში, „ნეკერჩხლის ფოთლებმა" კიდევ ერთ აუტსაიდერს — ოტავას აჩუქეს ქულები. ვერც გუნდის ლიდერებმა — გილმორმა და სუნდინმა გამოიჩინეს თავი: ამ ორ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა შეიძინეს.

როგორც იქნა, შეწყვიტა უხეირო სერია ვაშინგტონმა და დაძაბულ ბრძოლაში სძლია ფლორიდა. არადა, სეზონის წინ საკმაოდ გაძლიერებულ „კეპიტოლზს" თასის ფინალში გასვლასაც უწინასწარმეტყველებდნენ.

დასასრულს, მიღწევებზე. ვანკუვერელმა ბურემ მე-200 შაიბა შეაგდო. მისმა თანაკლუბელმა ტიკანენმა მე-600 ქულა დააგროვა, ლოს ანჯელესელმა ხრისტიჩმა 350-ე, ტორონტოელმა მიულერმა კი მე-800. ვაშინგტონელმა იუჰანსონმა მე-300 პასი გააკეთა.

### სამცელ ლარიბიანი

ბომბარდირები: ლემიე 86 (36+50), იაგრი (ორივე პიტსბურგი) 76 (12+34), სელიანე (ანაჰაიმი) 68 (29+39), გრეცკი (რეინჯერზი) 68 (16+52), სუნდინი (ტორონტო) 62 (29+33), ფრენსისი (პიტსბურგი) 61 (19+42), მესიე 60 (29+31), ლიჩი (ორივე რეინჯერზი) 57 (15+42), კარია (ანაჰაიმი) — 56 (22+34), ტკაჩუკი (ფინიქსი) 55 (32+23), პალფი (აილენდერზი) 55 (30+25), ლეკლერი (ფილადელფია) და შენაჰანი (დეტროიტი) 55 (29+26), საკიკი (კოლორადო) 55 (15+40).

სნაიპერები: იაგრი 42, ლემიე 36, ტკაჩუკი და ბონდრა (ვაშინგტონი) 32, ამონტე (ჩიკაგო) 31, პალფი 30, სელიანე, სუნდინი, შენაჰანი, ლეკლერი და ჰალი (სენტ ლუისი) 29.

მცველები: ლიჩი 57 (15+42), ოზოლინში (კოლორადო) 46 (16+30), ჰეჩერი (პიტსბურგი) 39 (11+28), ტვერდოვსკი (ფინიქსი) 39 (8+30), მაკინისი (სენტ ლუისი) 33 (12+21), ჩელიოსი (ჩიკაგო) და ლიდსტრიომი (დეტროიტი) 33 (8+25).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| პიტსბურგი | 51 | 28 | 5 | 18 | 188-155 | 61 |
| ბუფალო | 52 | 27 | 6 | 19 | 150-135 | 60 |
| ჰართფორდი | 50 | 20 | 7 | 23 | 146-163 | 47 |
| მონრეალი | 53 | 19 | 9 | 25 | 166-187 | 47 |
| ბოსტონი | 51 | 20 | 6 | 25 | 147-175 | 46 |
| ოტავა | 49 | 16 | 10 | 23 | 132-144 | 42 |
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ფილადელფია | 51 | 29 | 7 | 15 | 161-126 | 65 |
| ფლორიდა | 51 | 26 | 10 | 15 | 147-118 | 62 |
| რეინჯერზი | 54 | 26 | 7 | 21 | 184-150 | 59 |
| ნიუ ჯერზი | 49 | 24 | 8 | 17 | 129-123 | 56 |
| ვაშინგტონი | 52 | 21 | 6 | 25 | 136-141 | 48 |
| ტამპა | 49 | 18 | 6 | 25 | 137-156 | 42 |
| აილენდერზი | 51 | 16 | 9 | 26 | 137-149 | 41 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დალასი | 52 | 29 | 4 | 19 | 157-127 | 62 |
| დეტროიტი | 50 | 24 | 9 | 17 | 152-115 | 57 |
| სენტ ლუისი | 53 | 25 | 4 | 24 | 160-165 | 54 |
| ფინიქსი | 51 | 22 | 4 | 25 | 140-161 | 48 |
| ჩიკაგო | 53 | 19 | 8 | 26 | 133-141 | 46 |
| ტორონტო | 53 | 19 | 1 | 33 | 150-188 | 39 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| კოლორადო | 53 | 32 | 8 | 13 | 182-124 | 72 |
| ედმონტონი | 52 | 25 | 5 | 22 | 114-51 | 55 |
| ვანკუვერი | 50 | 24 | 2 | 24 | 157-164 | 50 |
| ანაჰაიმი | 51 | 20 | 6 | 25 | 146-155 | 46 |
| კალგარი | 51 | 19 | 6 | 26 | 129-151 | 44 |
| სან ხოსე | 50 | 19 | 5 | 26 | 132-158 | 43 |
| ლოს ანჯელესი | 52 | 18 | 6 | 26 | 141-181 | 42 |



ფლორიდა — ვაშინგტონი. სტუმართა მეკარე ჯიმ კერი მორიგ შაიბას იგერიებს

# გაგვაბრაზეს და მიიღეს

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.
თბილისი. 2 თებერვალი. ასკ-ს დარბაზი.

**საქართველო — ფინეთი 27:20 (15:6)**

**საქართველო:** ერაძე, კენჭაძე, გელაშვილი (5), ორჯონიკიძე (1), მეიფარიანი (2), კალანდაძე (5), ბოყოჩაძე (5), თორდია (4), კეკელიძე (2), ანდრიაშვილი (3), გვაზავა, დათუკიშვილი

**ფინეთი:** კურპა; იან ჰელანდერი (1), მონბერგი (5), იარკო ჰელანდერი (2), ვესტერჰოლმი (8), ნორდლინგი (1), აიო (1), ჰოლმბერგი (1), ოლბერგი (1), ვინბერგი, ვესტერლუნდი

**მსაჯები:** გევორქიანი, არევშატიანი (ორივე სომხეთი)

## პირველი შეხვედრის ექო

ამ გუნდების პირველი შეხვედრიდან იმდენად მცირე ხანი გავიდა, რომ ორივე მეტოქე იმ მატჩის შთაბეჭდილებით განეწყო მეორე შეხვედრისთვის. ჩვენი ბიჭების თქმით, ფინეთში უკიდურესად არანორმალურ ვითარებაში უთამაშიათ. რა თქმა უნდა, მსაჯები მასპინძლებს უფრო სწყალობენ, მაგრამ ის, რაც ლატვიელმა მსაჯებმა იანსონსმა და ეიზენიქსმა მოიმოქმედეს, ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდაო — მსაჯები თვალს ხუჭავდნენ მასპინძელთა უხეშობაზე, ჩვენების შეტევებს კი უმიზეზოდ დასაწყისშივე ახშობდნენ. ამის შედეგად უკვე მე-15 წუთზე მძიმედ დაშავდა ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გარი თურქია, ფაქტობრივად მსაჯების მიერ პროვოცირებული ჩხუბისთვის კი ჩვენი კაპიტანი ვახტანგ მეიფარიანი მოედნიდან გააძევეს. ამიტომ ბიჭები მოწყურებული იყვნენ დაემტკიცებინათ, რომ ისინი ფინელებზე უკეთ თამაშობენ და რომ არა არაობიექტური მსაჯობა, ჰელსინკიშიც გაიმარჯვებდნენ.

## თამაში

ამ განწყობით დაიწყეს მატჩი მასპინძლებმა. მაგრამ დასაწყისში სურვილმა, რაც შეიძლება მალე დაემტკიცებინათ თავისი უპირატესობა, შეტევის დაბოლოებებს სიზუსტე დაუკარგა. მეიფარიანის გარღვევა შვიდმეტრიანით დამთავრდა. კალანდაძემ ძელს მოარტყა. კიდევ ერთი შეტევა დამთავრდა უშედეგოდ და ანგარიში მხოლოდ მაშინ გაიხსნა, როცა ფინელი მცველები ბოყოჩაძის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ. შვიდმეტრიანი თორდიას მიენდო და მანაც ანგარიში გახსნა. ამან ეგრეთ წოდებული სადებიუტო დაძაბულობა მოხსნა და თამაშიც გალაღდა. კალანდაძის, თორდიას (შვიდმეტრიანით) და კეკელიძის (მეიფარიანის შესანიშნავი პასით) გოლებს ფინელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს და ჩვენები სამი ბურთით დაწინაურდნენ 4:1. ფინელებმა შემდეგი ათი წუთი მობილიზებულად ჩაატარეს და მატჩის ბოლოს თუ არა ჩავთვლით, მხოლოდ ეს მონაკვეთი იყო, როდესაც გუნდები შედარებით თანაბარძალოვან მეტოქეებად ჩანდნენ. ანგარიშიც ასე იცვლებოდა — 4:3, 5:3, 5:4, 6:4. აქ მსაჯებმა კალანდაძე და თორდია გააგდეს. ფინელებმა გარღატეხა მოინდომეს, მაგრამ ბრწყინვალედ ითამაშა ჩვენმა მეკარემ როლანდ ერაძემ, რომელიც ამ მონაკვეთში ყველანაირად დარტყმული ბურთი მოიგერია: პირისპირ გასული მეტოქისგან, შორიდან, გვერდიდან— ერაძის ჩინებულმა თამაშმა მნიშვნელოვნად განაპირობა ქართველთა გალაღება — მოგეხსენებათ, როგორ გემატება ძალა, როცა მეკარე დამაჯერებლად თამაშობს. ამას გარდა ჩვენებმა თორდიას მეთაურობით მჭიდროდ ჩაკეტეს დაცვის ცენტრი და ფინელთა ლიდერებს ვესტერჰოლმსა და მონბერგს კართან მიახლოება უჭირდათ. რადგანაც დაცვა კარგად დადგა, მასპინძლებმა შეტევაში აიშვეს და მატჩის განმავლობაში გულშემატკივრები ჩვენი ნაკრების ყველა წევრის სოლო პარტიას უკრავდნენ ტაშს: გოლები ყველას გაჰქონდა და ერთმანეთზე ლამაზი. ტაიმის ბოლოს მოედანზე ანდრიაშვილი შემოვიდა და მანაც ზედიზედ ორი გოლით გაზარდა უპირატესობა. მოკლედ, ჩვენმა ნაკრებმა პირველი ნახევარი ჩინებულად ჩაატარა და ჩინებულადაც დააგვირგვინა — ბოლო წამებზე მეიფარიანის საუცხოო პასით ბოყოჩაძემ მაღალ ნახტომში გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში. პირველი ტაიმი საქართველოს ნაკრებმა ცხრა ბურთით მოიგო — 15:6.

მეორე ნახევრის დასაწყისში ფინელებმა კიდევ ერთიც გაიბრძოლეს: ზედიზედ ორი გოლი შეაგდეს — 15:8. მაგრამ ეს იყო და ეს. კალანდაძე, გელაშვილი და ბოყოჩაძე ვესტერჰოლმის გოლის პასუხად ისევ ცხრაბურთიან სხვაობას აღწევენ და თამაშიც იმავე სცენარით წარიმართა, როგორითაც პირველ ტაიმში. დაცვა საიმედოდაა გამაგრებული, ერაძე კარში შესანიშნავია, წინ კი ყველა მორიგეობით თავის საქმეს ჩინებულად აკეთებს. სხვაობა კიდევ უფრო იზრდება — მეიფარიანის ზუსტი პასის შემდეგ ბოყოჩაძე ამ მატჩში ყველაზე დიდი სხვაობით აწინაურებს თავისიანებს 26:13. აშკარა გახდა, რომ საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა.

აქ კიდევ ერთხელ იჩინა თავი ქართულმა ხასიათმა. რაც უნდა გაბრაზებული იყვნენ მეტოქეზე, განადგურება მაინც არ უნდათ. გია ნარიმანიძეს სრულიად ახალგაზრდა მოთამაშეები დათუკიშვილი და გვაზავა გაჰყავს მოედანზე. ფინელები თანდათან ამცირებენ სხვაობას, ჩვენები მატჩის დასრულების მოლოდინში უყურადღებოდ ასრულებენ გადამწყვეტ დარტყმებს, სამი შვიდმეტრიანიც კი ვერ გამოიყენეს, მონბერგის და ვესტერჰოლმის მეცადინეობით კი ფინელებმა მათთვის შედარებით ღირსეულ შედეგს მიაღწიეს.

საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა 27:20 და ყველა დაარწმუნა: რომ არა მსაჯთა მიკერძოება, ფინეთშიც გამარჯვების ღირსი იყო.


უტევს ნაკრების დებიუტანტი გია გვაზავა

## ბოლოთქმა

საქართველოს ნაკრებმა პირველი ორი ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში და კარგადაც ითამაშა. გუნდის მწვრთნელებმა და მოთამაშეებმა თქვეს, ეს იმ ყურადღების შედეგიც არის, რომელიც სპორტდეპარტამენტმა და ახალარჩეულმა ხელბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ გამოიჩინეს ჩვენს მიმართო. მათ გამოჰყვეს სახსრები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ჩვენი ლეგიონერების მონაწილეობა როგორც ჰელსინკის, ისე თბილისის მატჩებში. გუნდს მოუწყვეს ერთკვირიანი შეკრება სანქტ-პეტერბურგში, რაც ნაკრებმა ნაყოფიერად გამოიყენა. ამ ყველაფერმა, ბუნებრივია, სასიკეთოდ იმოქმედა გუნდის განწყობაზე და როგორც ბიჭებმა თქვეს, ამგვარი ყურადღების პირობებში ისინი გაცილებით მეტს მიაღწევენ. წინ კი ოთხი უძნელესი მატჩია შვეიცარიისა და ბელგიის გუნდებთან. მარტში ხომ ჩვენებს ჯგუფის ფავორიტთან — შვეიცარიის ნაკრებთან უწევთ ორჯერ შეხვედრა. იმ ნაკრებთან, რომლის შემადგენლობაში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ხელბურთელი ბაუმგარტნერი თამაშობს. ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენს ნაკრებს კვლავაც არ მოაკლდება ყურადღება.

**კოტე მგალობლიშვილი**
**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**

ჩვენი ჯგუფის წევრებმა, შვეიცარიამ და ბელგიამ ლუცერნში ითამაშეს. მასპინძლებმა, შვეიცარიელებმა 29:23 გაიმარჯვეს.


გარღვევაზეა ირაკლი კეკელიძე

## ...ამასობაში ქალები აგებდნენ

ამ დღეებშივე ითამაშა საქართველოს ქალთა ნაკრებმაც, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში რუსეთთან და ჰოლანდიასთან ერთად ასპარეზობს. რუსებთან ორივე მატჩი, შეთანხმებისამებრ, ჩვენებმა სტუმრად, როსტოვში გამართეს. როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლებმა ორივე მატჩში იოლად დაამარცხეს ჩვენი ნაკრები — 38:14 და 35:11. როსტოვის „ისტოჩნიკის" წარმომადგენლებს ძალიან მოეწონათ ჩვენი გუნდის წამყვანი მოთამაშე ნინო წივწივაძე და მას როსტოვში გადასვლა შესთავაზეს. „ისტოჩნიკი" რუსეთის ჩემპიონატში მეორე გუნდია.



## ტიტე მაკედონელი

ასეთი დრო დადგა: სათამაშო სახეობებში ჩვენი გუნდების ასპარეზობისას ლეგიონერების მოლოდინში ვართ. ახლაც ნაკრებს ხუთი ლეგიონერი შეუერთდა. ჩვენ ჯერ ტიტე კალანდაძეს გავესაუბრეთ, რომელიც მაკედონიაში „ქართველთა სამმოს" (მის გარდა თურქია, კეკელიძე და ბოყოჩაძე) ერთ-ერთი წარმომადგენელია.

**— ოთხივე ერთ გუნდში ხართ?**

— ოთხივე ვატროსტალნას „ვარდარის" ძირითადში ვთამაშობთ.

**— „ვარდარი" რა გუნდია?**

— მაკედონიის ჩემპიონატში მე-3 — მე-4 ადგილებისთვის იბრძვის. ახლა ყველანაირად ვცდილობთ, ევროთასების ერთ-ერთი საგზური მოვიპოვოთ.

**— მაკედონიის ხელბურთის დონეზე რა ითქმის?**

— დონე საკმაოდ მაღალია. ევროთასებზე მაკედონელთა გუნდებმა ერთხელ მეოთხედფინალს, ერთხელ კი ნახევარფინალს მიაღწიეს.

**— პირობები როგორი გაქვთ?**

— ყველა პირობაა საიმისოდ, რომ თამაშის კლასი ავიმაღლოთ. თან მაინც ერთად ვართ ოთხი ქართველი და უცხო გარემოსთან შეგუება არ გვიჭირს.

**— დღევანდელ მატჩზე რას იტყვით?**

— დავამტკიცეთ, რომ მათზე ძლიერები ვართ. ისეთი საშინელი მსაჯობა, როგორიც ფინეთში იყო, არ მინახავს. ოდნავ ნორმალურ პირობებში იქაც მოვიგებდით.

**— თქვენი ჯგუფიდან ერთი გუნდი გადის. ამ დროს ჯგუფში შვეიცარიაა. ხომ არ თვლით, რომ საგზურის ბედი გადაწყვეტილია?**

— არავითარ შემთხვევაში. ჩვენც ვიბრძოლებთ ამ საგზურისთვის. ვიცით შვეიცარელთა სიძლიერე, ვიცით, რომ მათ ბაუმგარტნერი ჰყავთ, მაგრამ ჩვენ უკვე გვაქვს გარკვეული გამოცდილება და ამიტომ ყველაფერი მხოლოდ ბოლო ტურებში გაირკვევა.

## ლევან ათენელი

ლევან გელაშვილი საბერძნეთში თამაშობს. კალათბურთისგან განსხვავებით ბერძნულ ხელბურთზე ბევრი არაფერი გვსმენია და ამიტომ ლევანს პირველად ამაზე ვკითხეთ.

— ვერ ვიტყვი, რომ საბერძნეთში ხელბურთი მაღალი დონისაა, მაგრამ ჩემპიონატი ძალიან დაძაბულია. ვერცერთი შეხვედრის წინ ვერ იტყვი, აი, ეს გუნდი მეორეს მოუგებსო. ამიტომ მოდუნების უფლება არ გვაქვს. ეს კი, როგორც მოთამაშეს, ძალიან მადგება.

**— რომელ გუნდში თამაშობ?**

— ათენის „ვრალისიაში". ეს გუნდი შარშანდელი ჩემპიონია და წელსაც მაღალი ადგილებისთვის იბრძვის, თუმცა მწვრთნელმა, მეკარემ და წამყვანმა მოთამაშემ დატოვეს გუნდი. ახალმა მწვრთნელმა ახალი გუნდის შექმნა დაიწყო.

**— რამდენად პოპულარულია ხელბურთი საბერძნეთში?**

— რა თქმა უნდა, კალათბურთს ვერ შეედრება. ხელბურთელთა გუნდებს მხოლოდ ერთი უცხოელის მიწვევა შეუძლიათ. კალათბურთში კი მრავლად არიან უცხოელი ვარსკვლავები, თუმცა ნელ-ნელა ხელბურთიც პოპულარული ხდება. საბერძნეთის ჩრდილოეთში იგი უკვე საკმაოდ პოპულარულია. სალონიკში თამაშებზე არანორმალურად გულშემატკივრობენ თავიანთ გუნდებს (ორი გუნდი ჰყავთ უმაღლეს ლიგაში). იქ თამაში ყველა გუნდისთვის გამოცდაა.

**— ჩვენი ნაკრების პერსპექტივაზე რას იტყვით?**

— საწყენია, ფინეთში არაობიექტური მსაჯობის გამო რომ წავაგეთ. მაგრამ ყველაფერი მხოლოდ ახლა იწყება და ჩვენსას ვეცდებით.

**ზურაბ ხელაშვილი**



## ტრავმებმა საქმე აგვირია

ხვალ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები შეემგზავრება პარიზს, სადაც 7-9 თებერვალს მონაწილეობას მიიღებს [illegible] ტაღლეს, „ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში. იგეგმება შვიდი ძიუდოისტის გამგზავრება, მაგრამ ტრავმებმა, შესაძლოა, მონაწილეთა რიცხვი შეგვიმციროს. გიორგი გუგავას (95 კგ) ერთი კვირაა მაღალი სიცხე აქვს, მევლუდ ლობჟანიძეს (95 კგ) — წელკავი აწუხებს, ლევან ციგრიაშვილს (86 კგ) — მხრის კუნთი გაუწყდა. მიკროტრავმები — მხრისა და მკერდის კუნთების დაზიანება აქვთ, შესაბამისად — მერაბ იოსებაშვილს (60 კგ) და გიორგი წმინდაშვილს (86 კგ). პარიზში წამსვლელთაგან აბსოლუტურად ჯანმრთელი ორი მოჭიდავეა — ზურაბ სამუკაშვილი (65 კგ) და ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი (მძიმე). პარიზის შემდეგ ჩვენი ძიუდოისტები იასპარეზებენ მიუნხენის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც 22-23 თებერვალს მოეწყობა.



**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

31 იანვარი

**ატლანტა ჰოქსი — ვანკუვერ გრიზლიზი 87:76, ჩიკაგობულზი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 115:92, მინესოტა ტიმბერვულვზი — სან ანტონიო სფურზი 97:95, სიეტლ სუპერსონიქსი — ვაშინგტონბულიტსი 97:95, შარლოტჰორნეთსი — მილოუკიბაქსი 102:95, ინდიანა პეისერზი — ჰიუსტონ როკიტსი 100:74, ორლანდომეჯიქი — ფილადელფია-76 109:99, ბოსტონ სელტიქსი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 11:105**

1 თებერვალი

**ფილადელფია-76 — მილუოკიბაქსი 109:100, ლოს ანჯელეს კლიპერზი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 110:98, საკრამენტო კინგზი — დენვერ ნაგითსი 113:107, დალასმავერიქსი — იუტა ჯაზი 100:97, მაიამი ჰითი — კლივლენდკავალიერზი 71:66; ტორონტორეპტორზი — ფინიქს სანზი 110:86, დეტროიტ პისტონზი — ნიუ ჯერსი ნეთსი 90:75**

2 თებერვალი

**ლოს ანჯელეს ლეიკერზი — ვაშინგტონ ბულიტსი 129:99, დენვერ ნაგითსი — ატლანტაჰოქსი 115:104, მაიამიჰითი — კლივლენდ კავალიერზი 80:76, ფინიქს სანზი — დეტროიტპისტონზი 106:97, ვანკუვერ გრიზლიზი — ბოსტონსელტიქსი 102:92, მინესოტა ტიმბერვულვზი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 103:102, ჩიკაგობულზი — სიეტლ სუპერსონიქსი 91:84, ინდიანა პეისერზი — ნიუ ჯერსი ნეთსი 92:90, ორლანდომეჯიქი — ჰიუსტონროკიტსი 103:90, შარლოტ ჰორნეთსი — ნიუ იორკ ნიქსი 99:93**

აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტიკის დივიზიონი | | | |
| მაიამი | 34 | 12 | 73,9 |
| ნიუ იორკი | 32 | 14 | 69,6 |
| ორლანდო | 22 | 20 | 52,4 |
| ვაშინგტონი | 22 | 23 | 48,9 |
| ნიუ ჯერსი | 12 | 32 | 27,3 |
| ფილადელფია | 11 | 34 | 24,4 |
| ბოსტონი | 10 | 33 | 23,3 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | |
| ჩიკაგო | 41 | 5 | 89,1 |
| დეტროიტი | 33 | 12 | 73,3 |
| ატლანტა | 30 | 14 | 68,2 |
| შარლოტი | 27 | 19 | 58,7 |
| კლივლენდი | 24 | 21 | 53,3 |
| ინდიანა | 22 | 22 | 50,0 |
| მილუოკი | 21 | 24 | 46,7 |
| ტორონტო | 16 | 28 | 36,4 |

დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| შუა-დასავლეთის დივიზიონი | | | |
| ჰიუსტონი | 32 | 14 | 69,6 |
| იუტა | 31 | 14 | 68,9 |
| მინესოტა | 22 | 24 | 47,8 |
| დალასი | 15 | 28 | 34,9 |
| დენვერი | 15 | 32 | 31,9 |
| სან ანტონიო | 11 | 31 | 26,2 |
| ვანკუვერი | 9 | 40 | 18,4 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| ლეიკერზი | 34 | 12 | 73,9 |
| სიეტლი | 32 | 14 | 69,6 |
| პორტლენდი | 25 | 22 | 53,2 |
| საკრამენტო | 20 | 26 | 43,5 |
| კლიპერზი | 18 | 25 | 41,9 |
| გოლდენ სტეიტი | 17 | 28 | 37,8 |
| ფინიქსი | 16 | 31 | 34,0 |

# თხილამურები

## გრანდებს ზღუდავენ

კვირას სესტრიერეში (იტალია) მსოფლიოს ჩემპიონატი გაიხსნა. შეჯიბრში 58 ქვეყანა მონაწილეობს. მათ შორისაა საქართველოც.

ჩემპიონატი შარშანაც გაიმართა. საქმე ისაა, რომ შარშანწინ სიერა-ნევადაში (ესპანეთი) საკმაო თოვლი ვერ მოვიდა. ჰოდა, შეჯიბრი ერთი წლით გადაიდო.

მსოფლიო პირველობა მსოფლიო თასთან შედარებით დემოკრატიულია. თითოეულ სახეობაში ქვეყანას მაქსიმუმ ოთხი სპორტსმენი გამოყავს. გარდა ამისა, პერსონალურად მონაწილეობენ წინა პირველობის გამარჯვებულები. ამჟამად ესენი არიან:

დაშვებაში — პატრიკ ორთლიბი (ავსტრია) და პიკაბო სთრითი (აშშ); სუპერ-გიგანტში — ატლე სკაარდალი (ნორვეგია) და იზოლდე კოსტნერი (იტალია);

გიგანტურ სლალომში — ალბერტო ტომბა (იტალია) და დებორა კომპანიონი (იტალია); სლალომში — იგივე ტომბა და პერნილა ვიბერგი (შვედეთი);

კომბინაციაში — მარკ ჟირარდელი (ლუქსემბურგი) და ისევ ვიბერგი. დაშავებული სთრითის გარდა ყველა ჩემპიონი მწყობრშია.

მოწინავე სათხილამურო ქვეყნებს ამგვარი ლიმიტი არ მოწონთ და კარგა ხანია მის გაუქმებას ითხოვენ. სამაგიეროდ საერთაშორისო ფედერაციას (ფის) თავაზობენ მსოფლიო თასის 20-30 მოწინავის ავტომატურ დაშვებას.

ამას ფედერაციის მუშაკები ვერ ეთანხმებიან, ესაო და ერთბაშად ათმა ავსტრიელმა რომ იასპარეზოს თითო სახეობაში, შეჯიბრს ხიბლი მოაკლდებაო. ასეა თუ ისე, ფის-ის ამ უცნაური წესის გადამკიდე გუშინ კურიოზი მოხდა: საფრანგეთმა სუპერ-გიგანტში ორი ვაჟი გაიყვანა, ალჟირმა კი — ოთხი (!)

### ჩემპიონატის განრიგი

თებერვალში უცქირეთ ევრო-სპორტს!

| | |
|---|---|
| 3 | ვაჟთა სუპერ-გიგანტი |
| 5 | ქალთა სლალომი |
| 6 | ვაჟთა კომბინაცია |
| 8 | ვაჟთა დაშვება |
| 9 | ქალთა გიგანტური |
| 11 | ქალთა სუპერ-გიგანტი |
| 12 | ვაჟთა გიგანტური |
| 13 | ქალთა კომბინაცია |
| 15 | ქალთა დაშვება; ვაჟთა სლალომი |

## კატია გადარჩა

ჩემპიონატამდე ლააქსს (შვეიცარია) ვაჟების კვალად ქალებიც ესტუმრნენ: შაბათს იქ მსოფლიო თასის პროგრამით დაშვება გაიმართა, კვირას — სლალომი.

დაშვება (ფაჩასის ტრასა): **1. ვარვარა ზელენსკაია (რუსეთი); 2-3. რენატე გეჩლი (ავსტრია) და ჰაიდი ცურბრიგენი (შვეიცარია) 0,09; 4. ჰილარი ლინდი (აშშ) 0,32; 5. კოსტნერი 0,34; ... 10. ვიბერგი 1,20;** ... დაშვების თასი (5 ეტაპის ჯამი): **ცურბრიგენი 349 ქულა; გეჩლი 307; კატია ზაიცინგერი (გერმანია) 266; კოსტნერი 241; ზელენსკაია 223; ვიბერგი 182; ჰილდე გერგი (გერ) 159**

24 წლის რუსმა ამ სეზონში პირველად, კარიერაში კი მეორედ გაიმარჯვა. მის კბილა გერმანელს — მსოფლიო თასის ამჟამინდელ მფლობელსა და დაშვების ოლიმპიურ ჩემპიონ კატია ზაიცინგერს იშვიათი მარცხი შეემთხვა: 120 კმ-სთ სიჩქარით მქროლი ფინიშთან შეხტომისას დაეცა და ტვინის მსუბუქი შერყევაც მიიღო, რის გამოც გუნდის ექიმმა კვირას ასპარეზობა აღარ დაანება. კატიას დაშვება წინა ჯერზე 1991 წელს ვერ დაემთავრებინა.

სამაგიეროდ, ვიბერგმა 26 ქულა დაიმსახურა და მსოფლიო თასის ჩათვლაში ზაიცინგერს მეტად გაუსწრო.

სლალომი (ბარგუნსის ტრასა): **1. კლაუდია რიგლერი (ახალი ზელანდია); 2. ლარა მაგონი (იტალია) 0,07; 3-4. ვიბერგი და მარტინა აკოლა (შვეიცარია) 0,08;** ... სლალომის თასი (7): **ვიბერგი 570; რიგლერი 389; კომპანიონი 327;** ... კომბინაცია: **1. ვიბერგი; 2. გერგი 1,43; 3. ანიტა ვახტერი 2,49;** ...

გასამართი ორი სლალომილაა. ვიბერგს მეორე ადგილი რომ დაეჭირა, ამ დისციპლინაში გამარჯვებას დაიბევებდა, მაგრამ სეზონის საწყისი ორი სლალომის გამარჯვებულმა 20 წლის ზალცბურგელმა მონაფემ, თავის ეროვნულ ფედერაციას რომ ემდურის და დედის ქვეყნის — ახალი ზელანდიის სახელით ასპარეზობს, ბოლო ორი კვირა ტექნიკის დახვეწაზე ივარჯიშა და ახალი წლის შემდეგ არათუ პირველად დაამთავრა დისტანცია, არამედ კარიერაში მეოთხედაც გაიმარჯვა. ვიბერგს საუკეთესო კომბინირებული დრო აღმოაჩნდა და მსოფლიო თასის ჩათვლაში უკვე 480 ქულას უგებს ზაიცინგერს.

მსოფლიო თასი (24 ეტაპის ჯამი): **ვიბერგი 1 425 ქულა; ზაიცინგერი 945; გერგი 818; კომპანიონი 787; ვახტერი 654; ცურბრიგენი 614; კოსტნერი 609.** ერთა თასი: **ავსტრია 8 679, იტალია 5 041, შვეიცარია 4 425, საფრანგეთი 3 601, გერმანია 3 424**

# რაგბი

The 1997 5 Nations

## ხუთი ერის პირველობა

II ტური. 1 თებერვალი

კარდიფი. არმზ პარკი. 52 ათასი

**უელსი 25:26 ირლანდია**

(10:20). მსაჯი ერიქსონი (ავსტრალია)

უელსი: ნ. ჯენქინსი; ი. ევანსი, გ. თომასი, გიბსი, დ. ჯეიმზი; ა. თომასი, პაული — ლოუდერი, პამფრიზი (კპკ), იანგი; პლუელინი, რაული (კრ. ქვინელი); ვილიამსი, ჩარვისი (კ. ჯოუნზი), სქ. ქვინელი. — 3ლ: ევანსი (2), სქ. ქვინელი; 2გ და 2ს: ჯენქინსი

ირლანდია: სთეიფლზი (კპკ); პიქი, ბელი, ფილდი, ქროთი; ელვუდი, პოგანი — ფოფლველი, ნიზდეილი, ვოლისი; ჯონსი (ფულჩერი), დევიდსონი; ქოქრი, მაკბრაიდი, მილერი. — 3ლ: ბელი, მილერი, პიქი; გ და 3ს: ელვუდი

ლონდონი. თვიქნემი. 75 ათასი

**ინგლისი 41:13 შოტლანდია**

(16:10). მსაჯი ობრაიენი (ზელანდია)

ინგლისი: სთიმფსონი; სლაითპომი, ქარლინგი, დეგლენვილი (კპკ), თ. ანდერვუდი; გრეისონი, გომერსოლი — რაუნთრი, რეგანი, ლენარდი; ჯონსონი, შოუ; დალალიო, პილი, როდბერი. — 4ლ: საჯარიმო, გომერსოლი, ქარლინგი, დეგლენვილი; 3გ და 5ს: გრეისონი

შოტლანდია: შეპარდი; სთარქი, სთეინჯერი, ერიქსონი (სქ. პეისთინგსი), ლოგანი; თაუნზენდი, რედფასი — თ. სმითი, ელისი, სთიუართი; ვიარი, რიიდი; ვოლთონი, ი. სმითი, ვეინრაითი (კპკ). — ლ: ერიქსონი; გ და 2ს: შეპარდი

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | 41:13 | 4-1 | 2 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 32:15 | 4-0 | 2 |
| უელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 59:45 | 7-4 | 2 |
| ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 41:57 | 3-7 | 2 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 32:75 | 2-8 | 0 |

III ტური. 15 თებერვალს: საფრანგეთი — უელსი, ირლანდია — ინგლისი

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90



„სამყურები" — ჯონათან ბელი (13) და ერიკ ელვუდი ხარობენ: უელსი ეს-ესაა სასწაულად დაამარცხეს!

როიტერი კარდიფიდან

## ამდენი ლელო!

სამხრეთ ნახევარსფეროელ მსაჯებს, მოთამაშეებისა არ იყოს, ფრიად აქებენ. ხუთი ერის პირველობასაც ბოლო წლებში სისტემატურად ამსაჯებენ, მაგრამ ბოლო უქმეებზე ორმა იქაურმა ისეთი რამეები ჩაიდინა, რომ ბრიტანული მედიის მტკიცებით, თამაშთა შედეგები გაყალბდა.

ასე იყო თუ ისე, სტატუს-ქვო, შორეული 1983 წლის შემდეგ რომ არსებობს, არ დარღვეულა: შოტლანდიამ ისევ ვერ გაიმარჯვა თვიქნემში, ირლანდიამ კი კვლავ წარმატებით მოიხილა უელსის დედაქალაქი.

სათქმელია გატანილ ლელოთა სიმრავლეც: თუ ახალი წესების შემოღების შემდეგ ხუთი ერის პირველობის მატჩების საშუალო ლელოიანობა ერთი პირობა 2,0-მდეც კი დაეცა, წელს ოთხ თამაშში უკვე 20 ლელოა გატანილი, რაც ჭეშმარიტად სამხრეთული შედეგია.

ინგლისი მატჩამდე მწარედ აკრიტიკეს. ნაკრების წინა მწვრთნელმა ჯეფ ქუქმა ახლანდელი მოძღვარი ჯეკ რაუელი სასაცილოდ აიგდო, რაღაც ინტერ-აქტიულსა და ექსპანსიურ რაგბზე საუბრობს, გუნდის ოპტიმალური შემადგენლობა კი ვერაფრით დაუდგენიაო. ამაზე რაუელს წარბიც არ შეუხრია — გუნდს 1999 წლის მსოფლიო თასისთვის ვამზადებ, წელს კი ზედიზედ მესამედ (!) ვაპირებ ხუთი ერის პირველობის ჩემპიონობასო.

ინგლისმა შოტლანდიას ზედიზედ მერვედ მოუგო, არნახულად ბევრი ქულაც გაუტანა და გარდამავალი კალკუტის თასიც, რა თქმა უნდა, შეინარჩუნა, მაგრამ კრიტიკოსები მაინც ვერ ჩააჩუმა, რაკი მატჩის ბოლო მეოთხედის გარდა დიდი ვერაფერი რაგბი აჩვენა. ვიდრე დაიღლებოდნენ და გატყდებოდნენ, სქოთები ვაჟკაცურად გაუძალიანდნენ მეტოქეს. ერთობ ცოდო იყო სტუმართა წინა ხაზი, სულ ახალი ბიჭებისგან რომ შეედგინათ.

მსაჯმაც დაალალატა შოტლანდია: მე-7 წუთზე თავად ვერ შენიშნა, თანამსაჯთან კონსულტაციის შემდეგ კი ლელო გატანილად აღარ ჩაუთვალა სტუმართა კაპიტან ვეინრაითს. გამოხდა ცოტა ხანი და თუმცა თაუნზენდმა და ი. სმითმა თამაშგარედან ალაგმეს დეგლენვილი, ეს ლელო გამზადი არ ჩანდა. და მაინც, ობრაიენმა საჯარიმო ლელო დანიშნა 10:0.

სქოთებს ავანტურა თუ იხსნიდა. მათი 10 ნომერი თაუნზენდი ხელით თავის ნახევრიდანაც ატევინებდა თანაგუნდელებს. ჰოდა, 25-ე წუთზე ლოგანი ერთბაშად ექცა ინგლისელს გაექცა, რაც ერიქსონის ლელოთი დასრულდა.

მერე ინგლისმა თანდათან იძალა, მაგრამ გრეისონმა ორი საჯარიმო გააფუჭა. 66-ე წუთამდე მასპინძლები ოდენ 22:13 იგებდნენ, მერე კი სქოთებს წინა ტურისებური კოლაფსი დაემართათ და ხუთ წუთში ისევ სამი ლელო გაუშვეს — გომერსოლმა ორმეტრიანი ჯონსონის გარღვევა დააგვირგვინა, მერე კი ყოფილი და ახლანდელი კაპიტნების — ქარლინგისა და დეგლენვილის ჯერიც დადგა: ლელოები ორივემ ახლოდან გაიტანა, ისიც ური[illegible]ხვი გადა-გადმოჯგუფების შემდეგ.

უელსის [illegible] შოტლანდიის სტუმრად ძლევის შემდეგ ნაკრების ალორძინებაზე [illegible] ბსისა და ქვინელების ძალას და ირლანდიური ნავსის გატეხვა აღარც ეეჭვებოდათ.

მართლაც, 32 წლის ევანსმა პირველი ლელო 31-ე წამზე (!) გაიტანა — ნორჩმა არველ თომასმა შეტევას მიმართულება შეუცვალა და იერიშში მცველი ჯენქინსი მარჯვედ ჩართო 7:0. მერე ევანსი კიდეზე მოიხროლეს, მაგრამ ამ მსაჯს საჯარიმო ლელოს დანიშვნა არ მოაზრებია.

უელსს მალე ფათერაკი შეემთხვა: ელვუდმა, ოთხი წლის წინ კარდიფშივე რომ ჰქონდა დებიუტი, მუხთალი აბრაგანი დაარტყა. ბურთი ზედ კართან დაეშვა, ჯენქინსს ხელში აუთამაშდა, ძელის დამცავ შალითას მოხვდა და ბელს მიუვიდა. მერე ჰოგანის გარღვევა 8 ნომერმა მილერმა დაასრულა ლელოთი, სთეიფლზისა და ქოქრის ბურთაობა კი — 20 წლის ახალბედა პიქიმ და ირლანდიაც 20:7 გაიჭრა წინ.

ჯენქინსმა საკადრისად ვერ ურტყა. ელვუდი ისე აცუნდრუკდა, რომ დარტყმის ნაცვლად ირლანდიის უკანა ხაზი აბურთავა. ესენი ამაში მაგრები ვერ არიან და ბურთი ბლომად კარგეს. უელსიც თითქმის დაეწია სტუმრებს: პაულიმ სწრაფად გაათამაშა საჯარიმო, ა. თომასმა გარღვევა შეძლო, რასაც ევანსის 33-ე ტესტ-ლელო მოყვა. 77-ე წუთზე ქვინელმა თავისი ლელო გაიტანა, მაგრამ მერე ჰოგანმა ა. თომასი შებოჭა, ირლანდიამ ერთქულიანი სხვაობა შეინარჩუნა და გადაირჩა.

ინგლისის კვაჭი მარკ რეგანი სქოთებს ეძალება

როიტერი ლონდონიდან



# ჩოგბურთი

## შტეფი მემკვიდრეს დანებდა





ნახევარფინალში გრაფს მუხლი ატკივდა, ჰინგისმა კი ბურთი მოედანს რომ ააცილა, წაიოხუნჯა. ტოკიოდან

ასოშიეითიდ პრესი

როიტერი

ტოკიოს „მეტროპოლიტენ ჯიმნაზიუმში" შეკრებილი 8 800 ქომაგი კვირას ამაოდ ელოდა საოცნებო ფინალს: წყნარი ოკეანის პირეთის ტორაის (მთავარი სპონსორია) ღია პირველობის ფინალში უნდა ეთამაშათ მსოფლიოს პირველსა და მეორე ჩოგნებს — 27 წლის შტეფი გრაფს (გერმანია) და 16 წლის მარტინა ჰინგისს (შვეიცარია).

ფინალი გრაფის მუხლის ტრავმის გამო ჩაიშალა. მიზეზი ხალხს რომ გამოუცხადეს, ჯერ ლიანგური ოხვრა გაისმა, მერე კი სტვენა ატყდა. აქ გრაფმა ივაჟკაცა და საზოგადოებას საჯაროდ მოუხადა ბოდიში — თავადაც მწყდება გული, იმედი რომ გაგიცრუეთო.

ჰინგისმა ამგვარად მოიგო კარიერის მეშვიდე ტიტული და 150 ათასი დოლარიც მიითვალა. გრაფს 67 500 ერგო. მასზე ხელი ნაღდად ველარ მიუწვდება მამამის პეტერს, პატიმრობა რომა აქვს მისჯილი.

დიდი სლემის ტურნირების უმრწემესმა ჩემპიონმა მარტინამ წელს ზედიზედ მესამე ტურნირში გაიმარჯვა და ჯერ ერთი მატჩიც არ წაუგია. ერთი კვირის წინ ავსტრალიის ჩემპიონი რომ შეიქნა, მამამისს — 40 წლის კაროლ ჰინგისს შინ, სლოვაკეთის ქალაქ კოშიცეში ნაცნობ-მეგობრები ულოცავდნენ.

კაროლი ბეჩავად ცხოვრობს — კორტის მუშაა. ჩოგბურთისთვის 30 წელი შეუწირავს, მაგრამ მარტინას დედის — მელანი მოლიტოროვასგან განსხვავებით დიდი ვერაფერი ოსტატი ყოფილა. ჰოდა, დედამ ვუნდერკინდი ქალი 7 წლისა რომ განარიდა ჩეხოსლოვაკიას, მას აქეთ მარტინა მამას ერთი-ორჯერ თუ უნახავს. ხალხსაც თურმე ერთობ ეცოდება ყარიბი მამა, რაკი მის ცოლ-ყოფილს, გოგოს სულყველგან თან რომ სდევს, სამადლობელი სიტყვების წარმოთქმისას კაროლის ჩოგბურთელობა რაღაც არ ახსენდება ხოლმე.

მელბურნისა არ იყოს, ჰინგისს ტოკიოშიც შეეძლო დუბლი, მაგრამ მანა და ჯიჯი ფერნანდესმა (აშშ) წყვილთა ფინალი 4:6, 3:6 წააგეს ლინდზი დავენპორტთან (აშშ) და ნატაშა ზვერევასთან (ბელარუსი). წაგებულებმა 22 500 დოლარი გაიყვეს, მოგებულებმა — 45 ათასი. აქ საგულისხმო ის იყო, რომ ტოკიოშიცა და მელბურნშიც იმ წყვილმა იმარჯვა, რომელშიც ზვერევა შეამხანაგებულიყო.

ჰინგისმა შაბათს, ნახევარფინალში 6:1, 5:7, 6:2 ძლია ანკე ჰუბერი (გერმანია, 4), გრაფს კი ამ სტადიაზე ბრენდა შულცის (ჰოლანდია, 8) 6:1, 7:5 დამარცხება მუხლის დაშავებად დაუჯდა. აქამდე გრაფისა და ჰინგისის შეხვედრათა ბალანსი 5-1 იყო შტეფის სასარგებლოდ. მათი ბოლო შეხვედრა ნოემბერში გაიმართა ნიუ-იორკის „მედისონ სქვეარ გარდენში": ქალთა პროფ-ტურის მსოფლიო პირველობის არაქათგამცლელ ფინალში ბებერმა 6:3, 4:6, 6:0, 4:6, 6:0 აჯობა ნორჩს, ყველას მის მემკვიდრედ რომ მიაჩნია.

მეოთხედფინალები (პარასკევს): **გრაფი (1) — ივა მაიოლი (ხორვატია, 5, შარშანდელი გამარჯვებული) 6:2, 6:3; ჰინგისი (2) — ამანდა კუტცერი (სამხრეთი აფრიკა) 6:0, 6:1 (45 წუთში); ჰუბერი (4) — დავენპორტი (6) 6:3, 4:6, 6:2; შულცი (8) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 3) 6:1, 6:0**

კვირას გორან ივანიშევიჩმა მეორედ მოიგო თავისივე შეჯიბრი — ხორვატიის ჰერქვეშა პირველობა. საქმე ისაა, რომ მსოფლიოს მეორე ჩოგანი მამამის სრჯანთან და ექს-ჩოგბურთელ ჟელკო ფრანულოვიჩთან ერთად ამ ტურნირის თანა-მფლობელია.

გორანმა ზედიზედ ძლია მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 7:6, 6:7, 7:5; თომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:6, 6:4; ალექს რადულესკუ (გერმანია) **6:0, 1:1** (მეტოქე დაუშავდა); ხავიერ სანჩესი (ესპანეთი) **6:2, 6:4;** ფინალში კი **122** წუთში **22** ეისით **7:6 (7-4), 4:6, 7:6 (9-7)** მოერია ბრიტანელ გრეგ რუზეცკის, ვინაც ნახევარფინალში **6:4, 6:4** გააგდო თომას ენკვისტი (შვედეთი, **2**). ფინალის ბოლო თაი-ბრეიქში ორმაგი შეცდომით ჯერ გორანმა გაფლანგა მატჩ-პოინტი, მერე კი — გრეგმა.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ ბიბინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29